საბა
საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე
№ 6
ივნისი
2006

ფატიმის უწყება
კარიტასი საქართველოში
პირველი ზიარება თბილისში
“იუდას სახარება” – სენსაცია?
განახევრებული ოჯახები
რა არის ევოლუციური მოძღვრება?

რედაქციის გვერდი

ქველმოქმედება და სარწმუნოება

გამოქვეყნდა *საქართველოს კარიტასის* 2005 წელს გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში. ძნელია, აღტაცება დამალო მათი მრავალფეროვანი საქმიანობის გამო, რის მაგალითად გამოდგება, თუნდაც მოხუცთა სასდილოები, ამავე დროს, მოღვაწეობა ეკონომიურ სფეროში პურის საცხობების სახით, ხოლო აღზრდის სფეროში – ბავშვთა ცენტრების სახით; თუმცა, დღევანდელ საჭიროებებს მხოლოდ ქველმოქმედება კი არ შეესაბამება, არამედ მომავლისაკენ მიპყრობილი იმედიანი მზერაც. შეუძლებელია ჩვენმა ეკლესიამ არ იამაყოს საქართველოში გაშლილი ამ საქმიანობით, რადგანაც ყოველივე ეს მის ცხოველმყოფელობაზე და საყოველთაო კათოლიკე ეკლესიასთან მის თანაზიარებაზე მეტყველებს. გავიხსენოთ, რამდენი დონორი გამოჩნდა, დიდი თუ მცირე, და *ანგარიშშიც* ისინი მრავლად არიან ჩამოთვლილნი, – მათ შორის არის ნეტარხსენებული პაპი იოანე პავლე II, ჩვენი “კარიტასის” დიდი მოამაგე და ბენეფატორი, – ისინი, ვინც ამ წლების მანძილზე უშურველად ეხმარებოდნენ და გვერდით ედგნენ *საქართველოს კარიტასის* საქმიანობას, უბრალოდ იმიტომ, რომ ქველმოქმედება საშვილიშვილო საქმეა ქრისტიანისა თუ ყოველი კეთილი ნების ადამიანის ცხოვრებაში.

დღეს კათოლიკე ეკლესია საქართველოში ქველმოქმედების საშუალებით ცხოვრობს, რაც ხორციელდება არა მარტო *საქართველოს კარიტასისა* და სამრევლო კარიტასების მეშვეობით, არამედ რელიგიური კონგრეგაციების შეწევნითაც – ესენი არიან კამილიელთა ძმები და დები, საეკლესიო მოძრაობები “რწმენა და სინათლე”, წმ. ეჯიდიოს საკრებულო, სხვადასხვა კათოლიკური ორგანიზაციები, “INER საქართველო”, – აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანი გავიხსენეთ, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ და აგრძელებენ ამ ქვეყანაში კათოლიკეთა მნიშვნელოვანი არსებობის დიდ ტრადიციას: ოდესღაც კულტურაში მჩქეფარეს (გავიხსენოთ ფალიაშვილი, ოცხელი, ზუბალაშვილი, თამარაშვილი, მელიქიშვილი), რომელიც დღეს უკვე ქველმოქმედებაშია გადატანილი. კათოლიკე ეკლესია მთელ მსოფლიოში ქველმოქმედების სამჭედლოა და მუდამ ასე იყო. ზოგჯერ ის ისეთ დაუჯერებელ საქმიანობას ახორციელებს, რისი წარმოდგენაც მხოლოდ სიყვარულს ძალუძს. წმიდანების ისტორია ქველმოქმედების ისტორიაცაა; ეს “დიადი საქმეებია”, რომელთა შესრულებაც თავად იესომ მიანდო იმათ, ვინც მას ირწმუნებდა. რასაკვირველია, უკიდეგანოა ქველმოქმედების ოკეანე და ჯერ კიდევ მრავალი ადგილია აღმოსაჩენი; მრავალი განსაცდელი სუფევს ომების, უსამართლობის, კატაკლიზმების, მცდარი

პოლიტიკის გამო, განუწყვეტლად რომ წარმოიშობიან ადამიანის, ბუნების და საზოგადოების საზიანოდ. მთელი მსოფლიოს კათოლიკეთა მსგავსად, ქართველი კათოლიკეებიც ვერ იქნებიან გულგრილნი ამ უთვალავი განსაცდელის მიმართ იმის მომიზეზებით, რომ მათ მცირე სახსრები აქვთ; ქველმოქმედებისათვის გადამწყვეტი როდია თანხა, – არსებითია, გვწამდეს რომ თავად ღმერთია სიყვარული, სიქველე. უფალი შეგვახსენებს, რომ რწმენას მთების გადაადგილებაც ძალუძს. თუკი ჩვენი ეკლესიის ქველმოქმედება თავის კონკრეტულ გამოვლინებას ფართოდ ჰპოვებს საქართველოს კარიტასის წამოწყებებში, ამით ჩვენი საკრებულოების წევრები არ უნდა გათავისუფლდნენ იმისაგან, რომ კონკრეტულად დაფიქრდნენ ღმრთისა და მოყვასის მიმართ სიყვარულის მცნებაზე; თუკი *საქართველოს კარიტასი* უდიდეს პასუხისმგებლობას იჩენს, – 2005 წლის მოხსნებაც ამის დასტურია, – იმის შესრულებისას, რისი გაკეთებაც სხვებმა ანდეს ამ ქვეყნის სასიკეთოდ, ქართველი კათოლიკეებიც არანაკლები გულმოდგინებით უნდა გადმოსცემდნენ რწმენისა და ტრადიციის მადლს, რაც მათ სწორედ ყოველდღიური ქველმოქმედების გზით მიენდოთ: "როგორ შეგიძლია გიყვარდეს ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავ, როცა არ გიყვარს მოყვასი, რომელსაც ხედავ?".

რამდენი მშვენიერი მაგალითის მოყვანა შეუძლია მამა ვიტოლდს, *საქართველოს კარიტასის* დირექტორს! თუკი ყოველდღიური ცხოვრების ბევრ ასპექტში კათოლიკური ყოველდღიურობა მრავალ სირთულეს აწყდება, ქველმოქმედებისთვის ყოველთვის ფართოდ იღება კარი, სხვა თუ არაფერი, საკუთარ ოჯახში, საკუთარ საკრებულოში მაინც. წმ. მოციქულების, პეტრესა და პავლეს, დიდდღესასწაულზე, 29 ივნისს, ტრადიციად იქცა კათოლიკე ეკლესიაში "წმიდა პეტრეს შესაწირავის" შესაკრები, პაპის საქველმოქმედო საჭიროებისათვის. ამ კონკრეტული ფორმით ჩვენ დავეხმარებით პაპს, რათა მან მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა სფეროში, თავისი საქველმოქმედო საქმიანობა განახორციელოს. ამბობენ, რომ ბენედიქტე XVI-ს ჰკითხეს: "როგორ მოხდა, რომ თქვენ, ვინც ხანგრძლივად ხელმძღვანელობდით სარწმუნოების მოძღვრების კონგრეგაციას, პირველი ენციკლიკა მიუძღვენით სიყვარულს და არა ჭეშმარიტებას?", რაზეც პაპმა მიუგო: "საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტება ეშმაკებმაც უწყიან, სამოთხეში შესასვლელად კი აუცილებელია სიყვარული!".

ცხადია, სასურველია, რომ ნაციონალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან კავშირში ხდებოდეს იმ მრავალი ინტერვენციის ორგანიზება, რაც *წლიურ ანგარიშშია* აღწერილი. რამდენი ენერგია, ნდობა და ფული იკარგება ხელისუფლების სტრუქტურებში დრომოჭმული თუ ნორჩი ბიუროკრატიის კორუფციის მიზეზით, ამა თუ იმ პასუხისმგებელი პირის თუ ჩინოვნიკის მიერ, როდესაც განბაჟებას ითხოვს კონტეინერი, რომელშიც ამ ქვეყნის გაჭირვებულთა დახმარებაა მოთავსებული, როდესაც საავადმყოფოში უნდა ითხოვო საწოლი ამ ქვეყნის ღარიბი ადამიანისთვის, ოპერაციას რომ საჭიროებს და არაფერი აბადია, არც სახლ-კარი და არც ფული თითქოსდა იგი ამ ქვეყნის მოქალაქე არ ყოფლიყოს, და არანაირმა კანონმა და დაწესებულებამ მასზე არ უნდა იზრუნოს. არავინ ითხოვს აღიარებას, რაკი უფალმა გვასწავლა, რომ უანგაროდ, სამაგიეროს მოთხოვნის გარეშე უნდა გავცეთ, მაგრამ საჭიროა შესაბამისი კანონები, ქმედითი თანამშრომლობა, პროფესიული კომპეტენცია, სიყვარული საკუთარი ხალხის მიმართ.

რა კარგი იქნებოდა, ამ ქვეყანაში ქრისტიანებს ერთად რომ შესძლებოდათ საქველმოქმედო საქმიანობის აღსრულება! ხშირად ეს საქმიანობა კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის შურის, ეჭვიანობის, კონკურენციის საბაბად ქცეულა. ქველმოქმედების მიზეზით, სინამდვილეში ყოვლად უსაფუძვლოდ, საუბრობენ პროზელიტიზმზე, ცხვრის ტყავში გახვეულ მგელზე, ქვენა მიზნებზე.

სურთ ყოველივე ამის შეფერხებაც კი. როგორ შეიძლება ერთმა ეკლესიამ მეორეს უთხრას, რომ მან არ უნდა დააპუროს მშიერი? როგორ შეიძლება ღატაკს უთხრა, რომ ვერ დაგეხმარები, ვინაიდან კათოლიკე არა ხარ, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს? ხომ არ დადგა დრო ერთმანეთს შევეწიოთ "სიქველის კეთებაში", ერთი და იმავე უფლის სახელით თუ არა, – რადგანაც ზოგჯერ გვგონია, რომ "ორ სხვადასხვა ბატონს" ვემსახურებით, – იმ ჰუმანურობით მაინც, "ცოცხალ-მკვდარი მიტოვებული რომ გდია გზის პირას"; განა საზოგადოება უფრო მეტ დახმარებას არ მიიღებს უსამართლობის, სიღატაკის, სნეულებების, დამღუპველი გარემო-პიროებების წინაშე ქრისტიანთა ერთობლივი ქმედების მაგალითით? თუკი დღეს კათოლიკე ეკლესიას უფრო მეტად შესწევს ძალა ეკონომიკურ სფეროს დაეხმაროს, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ კათოლიკე ეკლესიას არ სჭრიდება სულიერი დახმარება, ნუგეში, მხარდაჭერა, ძმური მაგალითები. მისასალმებელია საერთო პროტესტი დენ ბრაუნის წიგნის – "და ვინჩის კოდის" – და მის მიხედვით შექმნილი ფილმის მიმართ, მაგრამ კიდევ რამდენ ხანს უნდა ველოდოთ საერთო მოწმეობას სიყვარულში?

საქართველოს კარიტასის წლიური ანგარიშის დასაწყისში მოყვანილია ჩვენი ეპისკოპოსის სიტყვები, ეკლესიურობის ნიშნად და გარანტად ყოველივე იმისა, რასაც *კარიტასი* ახორციელებს, რამდენადაც ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ჩვენი ეკლესიისა, რომელიც იგება და ვლინდება კატეხისტურ და საქველმოქმედო საქმიანობაში. ჩვენი სანუკვარი ოცნებაა, რომ ჩვენი საკრებულოები უფრო მომწიფებული, ენერგიული, საქველმოქმედო მოვალეობით დაინტერესებული ვიხილოთ, არა უცხოეთიდან მიღებული დახმარებების მიმართ, არამედ იმ ნაბიჯებისადმი, რაც თვით საკრებულოში შეიძლება დაიბადოს საქველმოქმედო სივრცეში, ისევე როგორც კულტურის, პოლიტიკის და დიალოგის სივრცეში. ვინ იცის, იქნებ ერთი წლის შემდეგ წლიურ ანგარიშში ამ ქვეყნის რომელიმე პასუხისმგებელი პირის ან რომელიმე სხვა რელიგიისა თუ ეკლესიის წარმომადგენლის მისალმებაც გამოჩნდეს? არა რიტორიკული მადლობის ნიშნად, არამედ იმ თანაპასუხისმგებლობის დასამოწმებლად, რასაც – მიუხედავად სხვაობებისა – არასოდეს არ უნდა მოვეკიდოთ დაუდევრად!

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

ფატიმის უწყება და იოანე პავლე II-ის მისია

25 წელი გავიდა რომში, წმიდა პეტრეს მოედანზე, იოანე პავლე II-ზე თავდასხმის შემდეგ. როგორც ექიმები აღნიშნავენ, ტყვიამ, რომელიც 1981 წლის 13 მაისს წმიდა მამის გულს რამდენიმე მილიმეტრით ასცდა, გაუგებარი ზიგზაგი შეასრულა. ჩვეულებრივი ტყვიის ამგვარი მოძრაობა მეცნიერულად ვერ აიხსნება.

თავად იოანე პავლე II-მ გამომჯობინების შემდეგ თქვა, რომ "ერთმა ხელმა ტყვიის სასხლეტი დაუშვა, ხოლო მეორე ხელმა ტყვია გულს ააცილა". ეს მეორე ხელი, პონტიფექსის სიტყვით, ღმრთისმშობლისა იყო. იმავე წელს იოანე პავლე II პორტუგალიის ქალაქ ფატიმაში ჩადის, სადაც მისი სხეულიდან ამოღებულ ტყვიას ფატიმის ღმრთისმშობლის ქანდაკს უძღვნის.

იმ დროისათვის პორტუგალიის ეს პატარა ქალაქი ქრისტიანთა წმიდა ადგილად და მომლოცველობის უდიდეს ცენტრად იყო ქცეული. აქ, თურქი ალი აღჯას გასროლამდე 64 წლით ადრე, 1917 წელს, სწორედ 13 მაისს, სამ პორტუგალიელ ყმაწვილ მწყემსს ღმრთისმშობელი პირველად გამოცხადა. ეს გამოცხადებები (ყოველი თვის 13 რიცხვში) იმავე წლის 13 ოქტომბერამდე

გაგრძელდა. ღმრთისმშობლის უწყება ფატიმის სამი საიდუმლოს სახელითაა ცნობილი. უკანასკნელ მათგანს ფარდა საბოლოოდ 2000 წელს, იოანე პავლე II-ის ნებით, აეხადა.

ლუსია დე ჟესუს დუშ სანტუში და მისი ბიძაშვილები – ფრანსიშკუ და ჟასინტა მირტოები, შესაბამისად, 10, 9 და 7 წლის ყმაწვილები – ფატიმის სამრევლოში შემავალ სოფელ ალჟუსტრელის მცხოვრებნი – იმ უწყების ადრესატები გახდნენ, რომელმაც, არ შევცდებით თუ ვიტყვით, მთელი XX საუკუნის ისტორია დაიტია მისი ძირითადი მოვლენებით.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი გამოცხადება 1917 წლის 13 მაისს მოხდა. ყმაწვილები ლუსიას მამის ნაკვეთში თამაშობდნენ, როცა დაახლოებით შუადღისას მათი ყურადღება ორმა გაელვების მსგავსმა მკვეთრმა განათებამ მიიპყრო. ამის შემდეგ მათ იქვე მდგარ მუხის ხის კენწეროსთან თეთრსამოსიანი ქალბატონი დაინახეს, რომელიც მზესავით ელვარებდა. ლუსიას სიტყვებით, "ქალბატონის უმშვენიერესი სახე არც ნაღველიანი იყო და არც მხიარული, მისი სერიოზული გამომეტყველება უფრო მსუბუქ საყვედურს გამოხატავდა". მას სალოცავად აპყობილ ხელებში სავარდე ეპყრა. შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ქალბატონის ტანსაცმელი ნათლისაგან იყო მოქსოვილი. მან ასე მიმართა ყმაწვილებს: "ნუ გეშინიათ, არანაირი ბოროტება არ მწადს თქვენთვის." ლუსიას შეკითხვაზე – "საიდან ხართ, ქალბატონო?" – მან ზევით აღაპყრო ხელი და უპასუხა: "ზეციდან".

სამწუხაროდ, შეუძლებელია უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ გამოცხადებათა მიმდინარეობასა და დეტალებზე. მკითხველს შეუძლია შესაბამის ლიტერატურას მიმართოს – ლუსიას ჩანაწერები რამდენჯერმეა გამოცემული და კომენტირებული. კერძოდ, დავასახელებთ ანტონიო ბორელის წიგნს – ***ფატიმის უწყება: ტრაგედია თუ იმედი?*** – რომელიც არაერთ ენაზე გამოქვეყნდა.

ფატიმის ღმრთისმშობლის უწყება სამ ცნობას შეიცავს – სწორედ ესაა ფატიმის "სამი საიდუმლო". პირველია ე. წ. "ჯოჯოხეთის ჩვენება", რომელიც XX საუკუნისეული არნახული ათეიზმისა და ღმრთისგან განდგომის წინასწარმეტყველებაა. ამ ცნობას ხილვის (ვიზიონის) ხასიათი აქვს. ყმაწვილებმა იხილეს სასოწაკვეთილებისა და უიმედობის შემაძრწუნებელი სურათები, მილიონობით ღმრთისაგან განდგომილი და განწირული სულის ჯოჯოხეთური ტანჯვა.

რაც შეეხება მეორე ცნობას, ის სიტყვიერი ხასიათისაა. აი, ლუსიას ჩანაწერი, რომელიც ამ მეორე უწყებას შეიცავს: "თქვენ იხილეთ ჯოჯოხეთი, – მიმართა ღმრთისმშობელმა ყმაწვილებს, – სადაც უმწეო ცოდვილთა სულები მოხვდებიან. მათ სახსნელად ღმერთს სურს, მსოფლიოში ჩემი უმანკო გულის თაყვანისცემა დაამკვიდროს. თუ ეს მოხდება, ბევრი სული გადარჩება და მშვიდობაც დამყარდება. ეს ომი დამთავრების პირასაა (საუბარია პირველ მსოფლიო ომზე – 1914-1918 წწ.), მაგრამ თუ ადამიანები ღმრთის შეურაცხყოფას არ შეწყვეტენ, პიუს XI-ის პონტიფიკატის დროს, უარესი ომი დაიწყება. როცა ღამით დაინახავთ შეუცნობელი შუქით გაცისკროვნებულ ზეცას, იცოდეთ, რომ ის დიდი ნიშანია, ღმრთის მიერ თქვენთვის ბოძებული. ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ ომის, შიმშილის, ეკლესიისა და წმიდა მამის დევნის გზით ღმერთი დასჯის მსოფლიოს მის დანაშაულთა გამო. იმისათვის, რათა ეს არ მოხდეს, მე ვითხოვ, რომ ჩემს უმანკო გულს რუსეთი მიუძღვნან. ამავე დროს, მე ვითხოვ, რომ ყოველი თვის პირველ შაბათს ცოდვათა გამოსასყიდად აზიარონ. თუკი ჩემს თხოვნას გულს მიაპყრობენ, რუსეთი მოექცევა და მშვიდობა დამყარდება; თუ არადა, რუსეთი თავის ცდომილებებს მთელ მსოფლიოს მოსდებს, რასაც მოჰყვება ომები და ეკლესიის დევნა. მართალნი ეწამებიან, წმიდა მამა მრავალ ტანჯვას დაითმენს და მთელი ერები განადგურდებიან. მაგრამ ბოლოს, ჩემი უმანკო გული

იდღესასწაულებს. წმიდა მამა რუსეთს ჩემს უმანკო გულს მიუძღვნის და ეს ქვეყანაც, საბოლოოდ, მოექცევა; ამის შემდეგ რაღაც დროით მშვიდობა დამყარდება".

როგორც ვხედავთ, მეორე უწყებაში მთელი XX საუკუნის ისტორიაა ჩატეული. საგულისხმოა, რომ როდესაც ღმრთისმშობელმა პიუს XI ახსენა, მის აღსაყდრებამდე 5 წელი იყო დარჩენილი. ლუსია იგონებს, რომ 1917 წელს მან ისიც კი ვერ გაიგო, საუბარი იყო რომელიმე მონარქზე თუ პაპზე. კიდევ ერთი: მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად II მსოფლიო ომი 1939 წელს დაიწყო, ანუ პიუს XII-ის პონტიფიკატის პირველსავე წელს, ლუსიას მიაჩნდა, რომ პიუს XI-ის პონტიფიკატის ბოლო – 1938 წელი – II მსოფლიო ომის ფაქტობრივი დასაწყისი იყო, რადგანაც სწორედ ამ წელიწადს მოხდა ავსტრიის "ანშლუსი" (ანექსია).

რაც შეეხება მესამე უწყებას, მასაც, პირველის მსგავსად, ვიზიონის სახე აქვს. ყმაწვილებმა იხილეს ანგელოსი ცეცხლოვანი მახვილით ხელში, რომელმაც სამჯერ შესძახა: "შეინანეთ! შეინანეთ! შეინანეთ!". ამის შემდეგ ყმაწვილებმა იხილეს თეთრად შემოსილი ეპისკოპოსი, რომელიც მათ წმიდა მამად მიიჩნიეს. ეპისკოპოსი წინ მიუძღოდა მღვდლებსა და მორწმუნეებს, – მლოცველთა უზარმაზარ ნაკადს, რომელიც მთის წვერისაკენ მიემართებოდა, სადაც დიდი ჯვარცმა იყო აღმართული. გზად მომლოცველთ და წმიდა მამას სანახევროდ დანგრეული ქალაქი უნდა გადაელახათ. როდესაც წმიდა მამა მთის მწვერვალისაკენ მიმავალ გზას დაადგა და ჯვარცმას მიუახლოვდა, მლოცველებს წინ ჯარისკაცთა კრებული გადაუდგა. მათ ტყვიებით განგმირეს თეთრად შემოსილი წმიდა მამა და უთვალავი მორწმუნე. უკანასკნელად, ყმაწვილებმა იხილეს ორი ანგელოსი, რომელთაც კრისტალის ბარძიმში მოწამეთა სისხლი შეაგროვეს და ზეცისაკენ აღმავალი სულთა მსვლელობა.

კიდევ ერთხელ უნდა შევნიშნოთ, რომ ამჯერად დაწვრილებით ვერ შევეხებით არათუ 1917 წლის გამოცხადებათა მიმდევრობასა და იმ პარალელურ ისტორიებს, რაც ამ ცენტრალური ამბის გვერდით ვითარდებოდა, არამედ თვით ლუსიას ცხოვრების, მისი მონაზვნად აღკვეცისა და მისი ჩანაწერების დრამატულ ისტორიას. მოკლედ აღვნიშნავთ ოდენ იმას, რომ ამავე წლის 13 ოქტომბრის საბოლოო გამოცხადებისას, ფატიმის ახლოს, როდესაც მცირე ფართობზე, რომელსაც კოვა დე ირია ეწოდება, დაახლოებით 70 000-მა კაცმა მოიყარა თავი. მათ ე. წ. "მზის სასწაული" იხილეს, რომელიც, ყმაწვილი ლუსიას თხოვნით, ღმრთისმშობელმა უჩვენა შეკრებილთ: დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში მზე სრულიად უცნაურ მოძრაობებს ასრულებდა, "ცეკვავდა", რასაც ათასობით ექსტაზში ჩავარდნილი ადამიანი ადევნებდა თვალს – როგორც მორწმენეები, ისე სეირის საყურებლად შეკრებილნი.

ამის შემდეგ ფრანსიშკუ და ჟასინტა მალე გარდაიცვალნენ, რაც ღმრთისმშობლის უწყებაში ადრევე იყო გაცხადებული. სანამ ამქვეყნიდან წავიდოდა, საავადმყოფოში მწოლიარე ჟასინტამ ბევრი ადამიანი მოაქცია და საკუთარი თავის შესახებ საკვირველი ხსოვნა დატოვა. ლუსიას ცხოვრების გზა ხანგრძლივი აღმოჩნდა, – იგი 2005 წლის 13 თებერვალს 98 წლის ასაკში გარდაიცვალა, – სულ თვენახევრით ადრე იოანე პავლე II-ის ზეციერ მამასთან დაბრუნებამდე.

რაც შეეხება რუსეთის მიძღვნას ღმრთისმშობლის უმანკო გულისადმი, წმიდა მამამ, პიუს XII-მ. თავის სამოციქულო წერილში – ***Sacro Vergent Anno*** – რუსეთის ხალხები ღმრთისმშობლის უმანკო გულს მიანდო. უდიდესი მღელვარებით გაეცნო ფატიმის მესამე საიდუმლოს იოანე XXIII, რომელმაც 1959 წელს ახლობელ სამღვდელო პირებს უთხრა, რომ ამ ჩანაწერთა გაცხადების დრო ჯერ არ დამდგარიყო. ასევე მოიქცა წმიდა მამა პავლე VI. იოანე პავლე II 1981 წლის მაისში, გამომჯობინების შემდეგ, მესამე საიდუმლოს გაეცნო და თეთრად

შემოსილ ეპისკოპოსში საკუთარი თავი ამოიცნო. ამის შემდეგ მან სამივე საიდუმლოს თეოლოგიური კომენტარის დაწერა სარწმუნოების მოძღვრების კონგრეგაციის მაშინდელ პრეფექტს, კარდინალ იოზეფ რატცინგერს, დაავალა. იმავე წელს წმიდა მამამ მონაზონი ლუსია მოინახულა და ფატიმაშიც ჩავიდა. 2000 წელს, მას შემდეგ, რაც იოანე პავლე II-მ ფრანსიშკუ და ჟასინტა ნეტარებად შერაცხა, პაპმა ფატიმის მესამე საიდუმლო გაამჟღავნა და ლუსიას ჩანაწერთა ფოტოასლებთან და კარდინალ რატცინგერის – ამჟამად წმიდა მამის ბენედიქტე XVI-ის – თეოლოგიურ კომენტართან ერთად გამოაქვეყნებინა.

დაბოლოს, 1984 წლის 25 მარტს იოანე პავლე II-მ ღმრთისმშობლის ნება აღასრულა და მის უმანკო გულს რუსეთი და მთელი მსოფლიო უძღვნა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში დაიწყო ის პროცესი, რომელიც ისტორიაში "პერესტროიკის" სახელით შევიდა და რასაც საბჭოთა კავშირის დემონტაჟი, კომუნისტური იდეოლოგიის დასასრული და აგრესიული ათეიზმის სრული კრახი მოჰყვა.

დღეს კათოლიკე ეკლესია ისე ძლიერია, როგორც არასდროს – და არა ოდენ იმიტომ, რომ იოანე პავლე II-ის პონტიფიკატის პერიოდში არნახულად იმატა მღვდელ-მონაზონთა და მორწმუნეთა რიცხვმა თითქმის ყველა კონტინენტზე (განსაკუთრებით, აზიასა და აფრიკაში), არამედ იმიტომაც, რომ პაპის ინსტიტუტი, ფაქტობრივად, თანამედროვე კაცობრიობის მორალურ სიმბოლოდ და ეთიკურ ორიენტირად იქცა. ადამიანში ბუნებრივად ჩადებულმა ლტოლვამ სიწმინდისადმი არნახული ძალით ამოხეთქა 2005 წლის აპრილის დღეებში, როცა მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი ტელეარხი, ფაქტობრივად, წმიდა საყდრის ტელეარხებად იქცა და სკანდალებისა თუ სენსაციების "კეთების" ნაცვლად თავის პირდაპირ დანიშნულებას – ღმრთის სიტყვის გავრცელებას – აღასრულებდა.

ფატიმის უწყებამ თავისი სისავსე იოანე პავლე II-ის მისიაში ჰპოვა – XX საუკუნის კრიზისი ღმრთისმშობლის – ეკლესიის დედის – ჭეშმარიტი ტრიუმფით დასრულდა.

იაკობ დუმბაძე

ფოტოსურათთა ახსნა:

1. ლუსია, ფრანსიშკუ და ჟასინტა. 1917 წ.
2. კოვა დე ირიაზე შეკრებილი ხალხი. 1917 წლის 13 ოქტომბერი.
3. მონაზონ ლუსიას ჩანაწერი პორტუგალიურ ენაზე, რომელიც ფატიმის მესამე საიდუმლოს აღწერს.
4. წმიდა მამა იოანე პავლე II და კარდინალი იოზეფ რატცინგერი – ფატიმის საიდუმლოთა თეოლოგიური კომენტარის ავტორი – ამჟამად წმიდა მამა ბენედიქტე XVI.

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

პირველი ზიარების დიდი სიხარული

2006 წლის 7 მაისი, კვირადღე – გაზაფხულის მშვენიერი დილა. თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიაში დიდი გამოცოცხლებაა. ტაძრის კიბეზე ორ მწკრივად დგანან ქათქათა თეთრ კაბებში გამოწყობილი გოგონები და მოკრძალებულად ჩაცმული ბიჭუნები. მათ ფუტკრებივით თავს ეხვევიან მოზრდილები: მათი კატეხისტები, მშობლები, ახლობლები. ფოტოაპარატები და

ვიდეოკამერები სრულ მზადყოფნაშია. იგრძნობა წინასადღესასწაულო დაძაბულობა.

ორგანის ხმაზე ეკლესიაში შედის პროცესია ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს მეთაურობით. მას მიჰყვებიან მამა პიერ დიუმულენი, მამა ივან (ნინო) მარტინი, მამა ვლადიმერ აქსენტიევი, მინისტრანტები, 20 ბავშვი და ერთიც ახალგაზრდა.

წმიდა წირვის დროს ყმაწვილების მშობლები სიტყვის ლიტურგიაში მონაწილეობით თავიანთ ლოცვას უერთებენ მღვდელმსახურთა ლოცვას.

პირველი ზიარების დღესასწაული და სიხარული ერთადერთია ყველა ქრისტიანის ცხოვრებაში. ადამიანი ყოველთვის ეძებდა ღმერთთან მისასვლელ გზას. მან ისწავლა, ქრისტესთან ერთად განეცადა სიხარული და ტანჯვა. ქრისტეს ხორცისა და სისხლის მიღებისას, მორწმუნეც ხდებოდა მისი სხეულის ნაწილი და თავს უკვე აღარ გრძნობდა მარტოდ, მიუსაფარად ამ საშიშ სამყაროში.

იმ ყმაწვილებმა, რომელთაც 7 მაისს მიიღეს პირველი ზიარება, აქამდე თეორიულად იცოდნენ ამის შესახებ, ამ დღეს კი თავად გამოსცადეს – პირველად – ამ საიდუმლოს მადლი. ღმრთის შუქი მათ უნარს აძლევს, განასხვაონ კეთილი ბოროტისაგან და დაინახონ მათკენ გამოწვდილი ღმრთის მოსიყვარულე ხელი.

დღესასწაული, რომელიც დამთავრდა მილოცვებით, ყვავილებითა და ერთობლივი ფოტოებით, არასოდეს დაავიწყდებათ მონაწილეებს. ეს იყო დემონსტრირება იმისა, რომ ზიარება მათ აკავშირებს არა მარტო ღმერთთან, არამედ ადამიანებთან, დედა ეკლესიასთან, რომელმაც ბევრი გააკეთა ამ წუთებისათვის.

კარინა ოსიპოვა

მოწოდებულთა შეხვედრა გორში

22 აპრილს, გორში მოწოდებულთა მორიგი შეხვედრა მოეწყო, რომელშიც თბილისისა და გორის კათოლიკური ეკლესიების ღმრთის სამსახურისათვის მოწოდებული ახალგაზრდა გოგონები მონაწილეობდნენ. უკვე ოთხი თვეა, რაც ამგვარი შეხვედრები რეგულარულად ეწყობა. წინა სამი შეხვედრა (იანვარში, თებერვალში და მარტში) თბილისში, სალეზიელთა ორდენის მონაზვნებთან ჩატარდა.

გორის შეხვედრა და კორინასა და და ფლორას, ასევე, მამა ზურაბის ძალისხმევით, ლამაზად და საინტერესოდ წარიმართა. წინა შეხვედრების მსგავსად, ის ამჯერადაც ადორაციით დაიწყო, რაც საუკეთესო საშუალებაა საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და სამომავლო გზის გაცნობიერებისათვის. ადორაციის შემდეგ მამა ზურაბმა აღასრულა წმიდა წირვა.

შემდეგ, მეგობრულ სადილზე, ყველანი ერთმანეთს ვუზიარებდით მიღებულ შთაბეჭდილებებს და ვიხსენებდით თავსგადამხდარ კურიოზებს. ჩვენი შეხვედრა გაგრძელდა მამა ზურაბის მიერ შემოთავაზებული თემის – *ლოცვა* – განხილვით, რომელიც მრავლისმომცველი აღმოჩნდა თითოეული ჩვენგანისათვის.

შეხვედრის დასასრულს დავათვალიერეთ გორის ღირსშესანიშნავი ადგილები: გორის ე. წ. „ფრანგების“ კათოლიკური ტაძარი (რომელშიც ამჟამად მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა აღესრულება) და VII საუკუნის ატენის სიონი, სადაც სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ.

ეს საგულისხმო და მნიშვნელოვანი შეხვედრაც დასრულდა. შთაბეჭდილებებით დატვირთული ახალგაზრდები საკუთარ კერას დაუბრუნდნენ. იმედია, მომავალ შეხვედრამდე ისინი ყოველთვის მოიგონებენ იესოს სიტყვებს:

„ვისაც უნდა რომ გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, აღიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს“ (მათ. 17, 24).

მაია ხმიადაშვილი
გორი

წმიდა გიორგის სახელობის სამლოცველო სახლი უდეში

უდე ძირძველი კათოლიკური სოფელია. ცნობილ ქართველ კათოლიკე მღვდელს, საზოგადო მოღვაწეს, გამოჩენილ ისტორიკოსსა და თავდადებულ მამულიშვილს, მიხელი თამარაშვილს, 1902 წელს გამოქვეყნებულ თავის ცნობილ წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ არაერთი ცნობა აქვს მოხმობილი სოფელ უდეს კათოლიკეთა შესახებ, რომელიც დაცული იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არქივებში. უდელი კათოლიკეები საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა წინააღმდეგობათა მიუხედავად, – იქნებოდა ეს თურქთა შემოსევები თუ შინაური მტრის მუხანათური ხრიკები, – მედგრად იცავდნენ ქრისტიანობას კათოლიკური აღმსარებლობის სახით და იმ ავადსახსენებელი კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი არ შეუცვლიათ თავიანთი რწმენა: ისინი ფარულად ინათლებოდნენ, აღასრულებდნენ ჯვრისწერისა და სხვა საეკლესიო საიდუმლოებებს. ამისათვის მათ ზოგჯერ მრავალი კილომეტრების გავლაც კი უწევდათ, რადგანაც უდეს დიდებული კათოლიკური ტაძარი კომუნისტების ზეობის პერიოდში გაუქმებული იყო და მას საწყობად ხმარობდნენ.

„პერესტროიკის“ პერიოდში, როდესაც შესაძლებელი გახდა ეკლესიის დაბრუნება, უდელებს ძალ-ღონე არ დაუშურებიათ, რათა თავიანთი ეკლესია დაებრუნებინათ და მღვდელიც მოეწვიათ, მაგრამ მათი იმედები ამაო ყოფილა. როცა ყველას ეგონა, რომ მათი მამა-პაპის მიერ აშენებული ტაძარი დაიბრუნეს, მოულოდნელად ის მართლმადიდებელთა ხელში აღმოჩნდა. სოფლის მორწმუნე მოსახლეობა ეკლესიისა და მღვდლის გარეშე დარჩა. ისინი იძულებული იყვნენ, მეზობელ სოფელ არალში წასულიყვნენ სალოცავად, მაგრამ ამ ბედნიერებას მოკლებული იყვნენ მოხუცები და ავადმყოფები.

1998-2000 წ.წ. სოფლის მკვიდრის, ვანო მამუკაშვილის თაოსნობით და, ძირითადად, მისივე სახსრებით უდეში აშენდა მცირე ზომის კათოლიკური ეკლესია. წლები გავიდა და მრევლი გაიზარდა, ეკლესია კი ვეღარ იტევდა მლოცველებს, პრობლემა ისიც იყო, რომ ეკლესია სოფლის ბოლოში მდებარეობდა და მორწმუნეებს უჭირდათ იქ სიარული, მით უმეტეს, მოხუცებს. უდეს მოსახლეობამ ეპისკოპოსს სთხოვა ახალი ეკლესიის აშენება, ხოლო თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, სამლოცველო სახლი მაინც აგებულიყო.

და აი, დადგა ნანატრი დღეც. 2005 წლის ოქტომბერში უდეში, სოფლის შესასვლელში ამოქმედდა სამლოცველო სახლი. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მამა იეჟი შიმეროვსკის, რომელიც დაუღალავად ზრუნავს მრევლზე: იგი ყოველდღიურად ატარებს წმიდა წირვებს, კატეხიზაციებს ბავშვებისა და დიდებისათვის. მამა იეჟის გარჯამ სასიკეთო ნაყოფი გამოიღო და მრევლიც დღითიდღე იზრდება.

2006 წლის 17 აპრილს კიდევ ერთი ღირსსახსოვარი დღე დადგა უდეს სამლოცველოსათვის: ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აკურთხა ჩვენი ეკლესია. კურთხევას ესწრებოდნენ სლოვაკეთიდან ჩამოსული სალეზიელი მღვდელი, რომელიც განსაკუთრებული მისიით სტუმრობდა საქართველოში; კამილიელი მღვდლები: მამა პავლე, მამა ზიგმუნდი, ძმა აკაკი, ძმა ირაკლი; ვალეს საკრებულოდან მამა არტური და მამა იეჟი, სემინარისტები, სტუმრები თბილისიდან, ხიზაბავრიდან, არალიდან, ვალედან და სხვა კათოლიკური

სოფლებიდან. ეპისკოპოსმა აკურთხა ტაბერნაკულუმი, რომელიც მამა სიმონმა სიკვდილის წინ პოლონეთიდან ჩამოიტანა ჩვენი სამლოცველოსათვის. სამლოცველო სახლი წმიდა გიორგის სახელზე ეკურთხა.

ეპისკოპოსმა ეკლესიას ღმრთისმშობლის ხატი უსახსოვრა და მის წმიდა გულს მიანდო ჩვენი სამრევლოს მომავალი.

მარინა აღლემაშვილი
უდე

შეხვედრა ახალციხეში

13 მაისს გაზეთ "საბასა" და ჟურნალ "დიალოგის" რედაქციათა წევრები ახალციხეს გაემგზავრნენ, სადაც ამ გამოცემათა პრეზენტაცია უნდა გამართულიყო.

პრეზენტაციას იქაური კათოლიკეები მასპინძლობდნენ. პირველი სიტყვა მეუფე გაბრიელე ბრაგანტინიმ წარმოთქვა, რომლმაც აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ შეხვედრებს იმ ისტორიულ კუთხეში, რომელიც დღემდე ჩვენს მიწაზე კათოლიკე ეკლესიის ფორპოსტად რჩება.

ამის შემდეგ "საბას" რედაქციის წევრმა ნუგზარ ბარდაველიძემ გაზეთის ყოველდღიურ პრობლემებზე ისაუბრა. მან შეკრებილთ მოუწოდა, შეუფარავად გამოეთქვათ თავიანთი აზრი "საბას" როგორც ღირსებების, ისე ნაკლის შესახებ.

ჟურნალ "დიალოგის" რედაქციის წევრმა პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ მართლმადიდებელ ეკლესიასა და კათოლიკე ეკლესიას შორის დიალოგის ძირითად ასპექტებს მიაპყრო აუდიტორიის ყურადღება. მან შეუფარავად აღიარა, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს რიგი მოძღვართა, რომლიც აღელვებს მრევლს და შეუწყნარებლობის ღვარძლს თესავს მოწრმუნეებში. მისი აზრით, ამ პირობებშიც კი დიალოგი არათუ აუცილებელი, არამედ გარდაუვალიცაა.

გაზეთ "საბას" ყოფილმა მთავარმა რედაქტორმა და ჟურნალ "დიალოგის" რედაქციის ამჟამინდელმა წევრმა მანანა ანდრიაძემ შეკრებილთ სიმტკიცისა და შეუპოვრობისაკენ მოუწოდა.

"საბას" და "დიალოგის" რედაქციათა წევრმა პროფესორმა მერაბ ღაღანიძემ, რომელიც ექვსი თვით რომის თომა აკვინელის პაპის უნივერსიტეტში – ანჯელიკუმში იყო მივლინებული, იმის შესახებ ისაუბრა, თუ როგორ უმაგრებს მხარს წმიდა საყდარი საქართველოში შეკრებილ თავის სამწყსოს.

ხოლო "საბას" და "დიალოგის" რედაქციათა წევრმა პროფესორმა ზაზა შათირიშვილმა იქ შეკრებილთ გაახსენა წმიდა მამა იოანე პავლე II, რომელიც ზუსტად 25 წლის წინ, 13 მაისს თურქი ალი აღჯას ტყვიისაგან ღმრთისმშობლის სასწაულებრივმა ჩარევამ დაიფარა.

პრეზენტაციისას უამრავი მოსაზრება გამოითქვა. აქ შეკრებილი იყვნენ არა ოდენ ახალციხელები, არამედ არლელები, ხიზაბავრელები, ივლიტელები, უდელები, ბორჯომელები, რომელნიც თავიანთ პრობლემებზე საუბრობდნენ და სამოციქულო ადმინისტრაციისაგან მეტ აქტიურობას მოითხოვდნენ.

დასასრულ, მეუფე გაბრილე ბრაგანტინიმ შეკრებილთ და მასპინძლებს დიდი მადლობა გადაუხადა. სტუმრები ადგილობრივი სამლოცველოს მონახულების შემდეგ თბილისისაკენ გამოეშურნენ.

იაკობ დუმბაძე

ლევან გოკიელი

გამოჩენილი კათოლიკე მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან გოკიელი ქალაქ ქუთაისში დაიბადა. გოკიელების ოჯახი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქალაქის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში.

გადმოცემით, გოკიელების გვარის წინაპარი იტალიელი (ფლორენციელი) ოქრომჭედელია, რომელიც XVII საუკუნეში სამეგრელოს მთავარმა, ლევან დადიანმა მოიწვია (ეს სავსებით შესაძლებელია, რადგანაც იტალიელებს მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებთან). ოქრომჭედლის ორი ვაჟიდან ერთი სამეგრელოში დარჩა და ეჯიბიას გვარი მიიღო, მეორემ კი მესხეთ-ჯავახეთს მიაშურა, სადაც მორწმუნე ქართველ კათოლიკეთა საზოგადოება ეგულებოდა. აქ ის სოფელ გოკიოში დასახლდა და გვარიც ამ სოფლის მიხედვით მიიღო – გოკიელი. პირველი გოკიელები, ტრადიციისამებრ, ოქრომჭედლები იყვნენ, რომლებსაც „ყვინჩ“-ებს უწოდებდნენ. გოკიელებსა და ეჯიბიების გვარს შორის ნათესაური ურთიერთობა ჩვენს დრომდე გრძელდებოდა. ლევანის მამა, პეტრე გოკიელი – ქუთაისის თვალსაჩინო მოქალაქე – აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი ამავდროულად დიდ დროს უთმობდა შვილების – ლევანის, არჩილისა და ელენეს – აღზრდას. ოჯახში ქალაქის მოწინავე საზოგადოება იკრიბებოდა: აკაკი წერეთელი, ზაქარია ფალიაშვილი, იოსებ ოცხელი, კოტე აბაშიძე, გრიგოლ გველესიანი, იუზა ზარდალიშვილი და სხვ.

ლევანის დედა, მარიამ ბუჯიაშვილი, განათლებული ქალი იყო (მათემატიკის სახელგანთქმული მასწავლებელი), მისი ახლო ნათესავები ცნობილი მუსიკოსები იყვნენ, მათ, ასევე, განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდათ ზაქარია ფალიაშვილთან, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ლევანის მუსიკალურ აღზრდაზე (იგი კარგად უკრავდა ვიოლინოზე).

დაწყებითი განათლება ლევანმა შინ, დედის მეურვეობით მიიღო. ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ კი იგი თბილისის უნივერსიტეტში მათემატიკის სპეციალობაზე ჩაირიცხა. იმ დროს ქართულ ენაზე არ არსებობდა დარგის სახელმძღვანელოები, მაგრამ ენების ცოდნა ლევანს საშუალებას აძლევდა, ესარგებლა უცხოურ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოებით. მას ასწავლიდნენ ისეთი დიდი მათემატიკოსები, როგორებიც იყვნენ: ანდრია რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი, არჩილ ხარაძე, ალექსანდრე ბენაშვილი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლევან გოკიელი, როგორც წარჩინებული სტუდენტი, უნივერსიტეტში დატოვეს სწავლის გასაგრძელებლად.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იგი, სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. 1930 წელს მან უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა დაიკავა.

1934 წელს ლევან გოკიელმა გამოსცა პირველი მონოგრაფია „სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები“, – ეს იყო პირველი (და ერთადერთი) მონოგრაფია, რომელიც გამოსცა თბილისის უნივერსიტეტთან დაარსებულმა მათემატიკისა და მექანიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. ეს ინსტიტუტი, თავის მხრივ, პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება იყო მათემატიკის დარგში, ხოლო ამ ინსტიტუტის შრომების პირველი ტომის ავტორის – ლევან გოკიელის სადოქტორო ნაშრომი საქართველოში დაცული პირველი დისერტაცია იყო მათემატიკურ და მომიჯნავე მეცნიერებებში (ლევან გოკიელმა საკანდიდატოს დაცვის გარეშე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია). იგი ავტორია მრავალრიცხოვანი სტატიებისა და ორი მონოგრაფიისა: „მათემატიკური ანალიზის

შესავალი“ (1938) და „მათემატიკის საფუძვლები“ (1958). ამ უკანასკნელისათვის მას თბილისის უნივერსიტეტის პირველი ხარისხის პრემია მიენიჭა.

ლევან გოკიელმა თბილისის უნივერსიტეტში მრავალი კურსი წაიკითხა: მატემატიკური ანალიზის შესავალი, დიფერენციალური აღრიცხვა, უმაღლესი ალგებრა, ვარიაციათა აღრიცხვა, ინტეგრალთა აღრიცხვა, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, ალბათობის თეორია, მათემატიკური ლოგიკა, გეომეტრიის საფუძვლები, მათემატიკის ისტორია და სხვ. ალბათ, არ იყო არც ერთი მათემატიკოსი, რომელსაც ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი დაემთავრებინოს და ამ კურსთაგან ერთ-ერთი მაინც არ მოესმინოს.

ლევან გოკიელი ხელმძღვანელობდა სხვადასხვა კათედრებს, ორჯერ იყო ფაკულტეტის დეკანი. გარდა უნივერსიტეტისა, იგი ლექციებს კითხულობდა სხვა ინსტიტუტებშიც. გოკიელმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასაც, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა. იგი, ასევე, მუშაობდა მატემატიკის ინსტიტუტსა და ფილოსოფიის ინსტიტუტში (აქ იგი ლოგიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა), სადაც მან გამოსცა „ლოგიკის ისტორია“ და „შემეცნების თეორიის ლოგიკური ასპექტები“.

ლევან გოკიელი სხვამხრივაც გამორჩეული პიროვნება იყო: დიდად ნაკითხი, ხელოვნების, – განსაკუთრებით, მუსიკისა და მხატვრობის, – მოტრფიალე და შესანიშნავი მცოდნე; ბრწყინვალე იუმორის მქონე პიროვნება.

ლევან გოკიელს იწვევდნენ დიდ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე. იგი იყო სიმბოლური ლოგიკის, ფილოსოფიის მეცნიერებათა ასოციაციისა და სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი. საზღვარგარეთ მას მიიჩნევდნენ რთული მეთოდით მომუშავე და ორიგინალური ლოგიკის დიდ სპეციალისტად.

1967-1971 წლებში ლევან გოკიელი იყო საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი. სიცოცხლის ბოლო წლებში კი – სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსულტანტ-პროფესორი.

ლევან გოკიელი გარდაიცვალა 1975 წლის 4 იანვარს. იგი დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დოდო ნებიერიძე-გაბრიჩიძე

თეოლოგის გვერდი

იუდას სახარება: თვალებში ნაცრის შეყრა!

“იუდას სახარების” დაბეჭდვას შეუძლებელი იყო ბუნებრივი ინტერესი არ გამოეწვია ბიბლიის შემსწავლელთა წრეში; თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ვიკითხოთ, თუ რა მიზნები ამოძრავებდათ იმათ, ვინც ამ დოკუმენტის ირგვლივ გადაჭარბებული სენსაცია შექმნეს, რადგან ტექსტი ამდენ ხმაურს ნამდვილად არ იმსახურებდა.

სენსაციური სიახლე, გამოწოვილი ძველი ამბიდან

წმიდა ირინეოსი უკვე მეორე საუკუნის დასასრულს საუბრობს იუდას “ფიქციურ” სახარებაზე, რომელიც ერთ-ერთ სექტაში შეიქმნა. ასე რომ, ამ აპოკრიფის არსებობა არავისთვის ყოფილა საიდუმლო. მით უმეტეს, კარგად იყო ცნობილი იმ ხელნაწერის არსებობა, რომლის ირგვლივაც ამხელა ხმაური ატყდა და რომელიც სინამდვილეში აღმოაჩინეს... ოცდაათი წლის წინ! იგი აღმოაჩინა

1970-იან წლებში ეგვიპტის უდაბნოში ერთმა გლეხმა, ხოლო გამოქვეყნდა 2006 წლის 5 აპრილს ამერიკული ჟურნალ "The National Geographic"-ში და დათარიღდა III ან IV საუკუნის დასაწყისით. და ყველაფერი ეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი შინაარსი უკვე დიდი ხანია ცნობილი იყო.

ერთ-ერთი აპოკრიფი მრავალთაგან

ცნობილია მთელი რიგი აპოკრიფული სახარებების, მოციქულთა ათობით წერილისა და საქმის, გამოცხადების (აპოკალიფსის) მრავალრიცხოვან ვერსიათა არსებობა, რომლებიც მეორე საუკუნიდან მეხუთე საუკუნემდე თარიღდება. ამ ლიტერატურულ სიუხვეში არაფერია გასაოცარი, თუკი გავითვალისწინებთ ქრისტიანობის სწრაფ გავრცელებას და გავერკვევით იმაში, რომ ეკლესია დასაბამიდანვე ასხვავებდა ავთენტიკურ ტექსტებსა და ადამიანის წარმოსახვით დაწერილ ტექსტებს შორის, დაფუძნებულს ადამიანთა სურვილზე, ჩამოეყალიბებინათ ადამიანური მოძღვრება, განსხვავებული ქრისტესა და მოციქულთა ჭეშმარიტი ქადაგებისაგან, ან კიდევ, ადამიანებს ხშირად ამოძრავებდათ სურვილი, შეევსოთ ისტორიული ინფორმაციის ნაკლებობა. იუდას სახარება კი მეორე საუკუნეში დაიწერა, რათა გაემართლებინათ გნოსტიკური სწავლება.

რა არის გნოსტიციზმი?

გნოსტიციზმი მოძრაობაა, რომელიც მეორე საუკუნეში დაიბადა, მისი შედარება შეიძლება დღევანდელ New Age-თან, რადგან ის წარმოადგენს სხვადასხვა რელიგიათა სინკრეტიზმის მცდელობას. ქრისტიანული გნოსტიციზმი არის ქრისტიანული გამოცხადების რაციონალური, მეცნიერული ახსნა, მაგრამ სინამდვილეში ის ეფუძნება ისეთ სისტემას, რომელშიც აღრეულია სხვადასხვა აღმოსავლურ რელიგიათა მოძღვრებანი. მას შემოჰყავს უამრავი შუამავალი ღმერთსა და კაცს შორის, რომლის "გნოსე" (ცოდნა/ცნობა) მხოლოდ მცოდნეთ ძალუძთ. ადამიანი, სრულიად დაქვემდებარებული შუამავალთა ამ სამყაროს, მოვალეა "შეიცნოს" ის, რათა მოექცეს კარგი გავლენის ქვეშ. "ცნობის" ეს რთული სისტემა სამყაროსა და თითოეულ ადამიანს წარმოიდგენს როგორც ბრძოლის ველს ორ უმთავრეს პრინციპს – კეთილისა და ბოროტს შორის. ასეთი მსოფლმხედველობა ადამიანს პასუხისმგებლობას უხსნის ბოროტებისაგან. გარდა ამისა, ერთმანეთს უპირისპირდება სული და მატერია, ამიტომ სული უნდა გათავისუფლდეს სხეულისაგან, ანუ ბოროტისაგან, რათა მოხდეს მისი შერწყმა ღმრთაებრივ სამყაროსთან იმ ჰარმონიის საძიებლად, რომელიც მხოლოდ სიკვდილმა შეუძლია მოუტანოს ადამიანს. გასაგებია, თუ რატომ საუბრობს იუდას სახარება იმ საიდუმლოს შესახებ, რაც იესომ გაუმხილა იუდა ისკარიოტელს პასექამდე სამი დღით ადრე: "შენ იქნები უმთავრესი ყველას (სხვა მოციქულებს) შორის. ვინაიდან შენ მსხვერპლად შესწირავ იმ კაცს, რომელიც მე მმოსავს". ეს "მსხვერპლი" ათავისუფლებს იესოს საპყრობილისაგან ანუ სხეულისაგან, რათა საშუალება მისცეს მას კვლავ შეუერთდეს ღმრთაებრივ სამყაროს. უბედურება ისაა, რომ ასეთ მცდარ აზროვნებას, რომელსაც დღეს აღმოსავლური ფსევდომოძღვრებები ავრცელებენ, ადამიანები თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავს, ამგვარი მსოფლმხედველობა ამართლებს ევთნაზიას და ადამიანის სხეულის ზნეობრივ დაცემას, რადგან სხეული, ამ შეხედულებით, ნივთთა რიგში აღმოჩნდება.

სარფიანი საქმე

ანტიკვარიატით მოვაჭრე ქალმა ფრიდა ნუსბერგერ-ჩაკოსმა 2000 წლის აპრილში შეიძინა კოდექსი, რომელშიც სამ მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა. მას შემდეგ, რაც მან ვეღარ შეძლო ხელნაწერის უფრო დიდ ფასად გაყიდვა, გადაწყვიტა, ამ ფასეული ხელნაწერიდან სხვა გზით გამოედნო სარგებელი. მან მიმართა ერთ-ერთ შვეიცარიულ ფონდს, რომელიც სხვა ამერიკული ასოციაციის დახმარებით ცდილობს საქმეთა მოგვარებას. საჭირო იყო ხელსაყრელი მომენტის გამონახვა სკანდალის მოსამზადებლად და ამ გზით მოგების მოსაპოვებლად. დენ ბრაუნის წიგნის "და ვინჩის კოდის" წარმატებამ და მის საფუძველზე ფილმის ეკრანიზებამ შეამზადა მსგავსი თემების ირგვლივ საზოგადოებრივი ინტერესი. წმიდა კვირა კი იყო იდეალური მომენტი ქრონიკის "შემოსაგდებად"... იუდა, რომელსაც მოციქულთა საერთო საჭურჭლე ებარა და მზად იყო ნებისმიერი სიმუხთლისათვის, რათა ცოტაოდენ ფულს გამორჩენილიყო, ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მისი სახელი ამგვარად გახმაურდებოდა.

მამა პიერ დიუმულენი

სოციალური პრობლემები

უქმრო ცოლები, უმამო ბავშვები

მსურს რამდენიმე სიტყვით გამოვეხმაურო ჟურნალ "საბას" 2006 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნებულ ქალბატონ ნანა ნებიერიძის წერილს.

მართალია, რომ სულ უფრო მრავლდება მარტოხელა დედების რიცხვი, დედებისა, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ერთ ბავშვს ზრდიან. როგორ უნდა შევხედოთ ამ მოვლენას, როგორ შევაფასოთ ის ქრისტიანულად?

პრობლემა რთულია და მრავალ ასპექტს მოიცავს.

თავდაპირველად უნდა ვიკითხოთ: რატომ ხდება ასე, რა არის მოვლენის მიზეზი?

თანამედროვე კულტურა სულ უფრო მეტად ეგუება მარტოხელა პიროვნებას, – ადამიანს, რომელიც არ იმყოფება ცოლქმრულ კავშირში, ასევე, ბავშვიან მარტოხელა დედას. არცთუ იშვიათად "მუდმივი კავშირის გარეშე ცხოვრებას" პროპაგანდასაც კი უწევენ.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ მარტოობა, მხოლოდ ერთი მშობლის მიერ აღზრდა, ბავშვისათვის არასოდეს არაა სასარგებლო, ის დაკავშირებულია გარკვეულ ნაკლთან, რისი შევსებაც ვერაფრით ვერ მოხერხდება.

გადავხედოთ "მარტოხელა დედის" ფენომენის ზოგიერთ მიზეზს. სიკვდილი ან სხვა რამე გარემოება, რაც მეუღლეების ნების გარეშე იწვევს ოჯახიდან მამის ჩამოშორებას (შეიძლება ეს იყოს ლტოლვილის ხვედრი, ომი, ან რამე მძიმე სნეულება, ან ოჯახიდან შორს იძულებით სამსახური). ამ შემთხვევაში ბავშვის (თუ ბავშვების) მარტოხელა დედის მიერ აღზრდა არაა არჩევანის შედეგი, ეს მდგომარეობა აღიქმება არასასურველ, ერთგვარი ბოროტების ფორმად. არსებობს მამის გარკვეული სურათი (მისი ფიგურა), რომელიც რჩება მეხსიერებაში, და რომელსაც დედა და გარემოცვა ძირითადად დადებითად წარმოაჩენს. სახლში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორი იყო მამა, რას აკეთებდა, რას აფასებდა. დედას ახარებს იმის დანახვა, რომ შვილები ცდილობენ მიბაძონ მამას. მის ხსოვნას ინახავენ, იხსენებენ მას, ნატრობენ მას. ბავშვებისა და დედის გრძნობები მიმართულია მისკენ. ყალიბდება მამობისა და მამაკაცად ყოფნის დადებითი სურათი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მოზარდი

ვაჟისათვის. საზოგადოდ ამ გარემოებაში მამის მიმართ პრეტენზიები არ არსებობს. იგი ფიზიკურად არ იმყოფება, სამაგიეროდ მისი სურათია მეხსიერებასა და გრძნობებში.

მამამ მიატოვა თავისი ოჯახი, ან ცოლმა გააგდო იგი. ამ შემთხვევაში მდგომარეობა რთულდება. ხშირად ასეთ გარემოებებში დედებიცა და შვილებიც იჯერებენ, რომ ისინი მიატოვეს. თუ ვინმემ მიგატოვა, მასზე, საზოგადოდ, კარგს არ ილაპარაკებ, თან დაგდევს ღია თუ ფარული პრეტენზია. ამ დროს უფრო ხშირად მამის სურათი ნეგატიური შუქითაა განათებული, მამაკაცობასა და მამაკაცად ყოფნას დადებითად არ წარმოადგენენ. ბავშვში ამ დროს ჩნდება შინაგანი თავდაჯერება იმისა, რომ "შენა ხარ ის, ვისაც ცუდი მამა ჰყავს", ეს კი ძირს უთხრის ბავშვში საკუთარი ღირსების შეგრძნებას. საზოგადოდ ეს თავდაჯერებულობა გაუთვითცნობიერებელია, ხდება მიზეზი იმისა, რომ ბავშვი სხვაგვარად იწყებს საკუთარი თავის დანახვას. რაც უფრო უარყოფით სურათს შეუქმნიან დედა და გარემოცვა მამის შესახებ, მით უფრო საზიანო და მომწყვლელი იქნება ეს ბავშვისთვის. როდესაც რამე ცუდი გვესმის ჩვენს მშობლებზე, ჩვეულებრივ ამას ვიღებთ, როგორც აუგს საკუთარ თავზე, "ცუდი დედის ან მამის შვილი როგორ იქნები კარგი?!" ბავშვის (თუ ბავშვების) დედამ თავად აირჩია ცხოვრების ასეთი წესი, რომელშიც მამა არ არსებობს. აქ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისგან ორი შემთხვევა:

მამა საჭიროა. დედა აიძულა გარემოებებმა. მაგალითად, ბავშვი ჩაისახა გაუთხოვარი ქალის ან გოგონას მხრიდან დაუფიქრებელი სქესობრივი ურთიერთობის შედეგად. სხვადასხვა მიზეზის გამო ქორწინებამდე საქმე ვერ მივიდა. დედის სურვილია, რომ ბავშვს ჰყავდეს მამა, მას ელის, ნატრობს, ოცნებობს. მისი გრძნობები ერთგვარად მისკენაა მიმართული. მამის სურათი შეიძლება წარმოდგენილი იქნას ან დადებითად ან უარყოფითად. ხშირად დედამ შეიძლება წარმოაჩინოს საკუთარი თავი და ბავშვი მამის მხრიდან უსამართლობის მსხვერპლად (რაც სიმართლეს შეესაბამება). არსებითია ის, რომ "მარტოხელა დედად" ყოფნა ამ მდგომარეობაში არაა წარმოდგენილი დედის მხრიდან როგორც სწორი და კარგი. დედას, საზოგადოდ ესმის, რომ იგი მარტო ვერ ეყოფა შვილს.

მამა არაა საჭირო. დედა თავად წყვეტს, რომ მამა არ არსებობდეს მის და ბავშვის ცხოვრებაში, მიაჩნია რომ იგი არაა საჭირო. უმამობა მისი არჩევანია. მას სურს აღზარდოს ბავშვი მარტომ, მის გარეშე. "მამაკაცობას" თუ "მამობას", როგორც ფასეულობებს, ან უგულებელყოფს, ან აუფასურებს. მამისა თუ "მამობის" ამ უარყოფას შეიძლება ჰქონდეს ძალზე მრავალფეროვანი და რთული მიზეზები. ეს შეიძლება იყოს უსამართლო მოპყრობა საკუთარი მამისაგან, რომელიც ვერ მიუტევებია, შიში ცოლქმრული ცხოვრების მიმართ (რაც არაა იშვიათი მოვლენა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც თავად არ აღზრდილა მთლიან და კარგ ოჯახში), ძლიერი თავკერძობა (ეგოიზმი), რაც არ იძლევა საშუალებას გაუზიარო საკუთარი ცხოვრება მეორე ადამიანს ცოლქმრობაში. ამგვარი ცხოვრების წესზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს აგრეთვე გარემოში გაბატონებულმა მოდამ და შეხედულობებმა (რაც სულ უფრო ხშირ მოვლენად იქცა განსაკუთრებით ევროპის მდიდარ ქვეყნებში). ეს მდგომარეობა არის ძალადობის ერთგვარი ფორმა, რომელსაც განიცდის ბავშვი, იმ აუცილებელი პიროვნების წართმევით, რომელიც მას სჭირდება განვითარებისა და ბედნიერებისათვის და რომელიცაა მამის პიროვნება. ამ სიცარიელის გამო ბავშვი იტანჯება მუდამ და მისი განვითარება და აგრეთვე მომწიფება გარკვეულწილად მოკლებულია რაღაც ძალზე არსებითს. მახსოვს ერთ ფრანგულ ჟურნალში გამოქვეყნებული ფრანგი გოგონას წერილი, რომელიც პოლონეთში გადმობეჭდეს; ათიოდე წლის წინათ წავიკითხე ის. ეს გოგონა არ იცნობდა საკუთარ მამას, მან არ იცოდა, ვინ იყო იგი, დედამისს არ სურდა მასზე ლაპარაკი. ეს გოგონა წერდა:

“ვგრძნობ თითქოს ჩემი საკუთარი მეობის ნახევარი მაკლიაო”. მამა არის ის, ვინც თვითშეგნებას იძლევა. არაა შემთხვევითი ის, რომ ძველ აღთქმაში მამაა ის, ვინც სახელს არქმევს ახალშობილს.

მამისა და ქმრის არყოფნით გამოწვეული შედეგები ყოველთვის ღრმა და მოწყვლადია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არყოფნა ცხოვრებას გარკვეულ არასრულყოფილებას აძლევს. დღეს მინდა მოკლედ შევეხო სამ ძალზე მნიშვნელოვან მომენტს, მომავალ ნომერში კი ვაპირებ უფრო ფართოდ ვისაუბრო ბავშვის უფლების შესახებ, ჰყავდეს ორივე მშობელი და მშობლების კავშირის მნიშვნელობაზე ბავშვის ზრდასა და განვითარებაში.

თანაშემწის არყოლა. ბავშვების პატრონი ქალი, რომელსაც არა ჰყავს ფხიზელი, გულისხმიერი და მოყვარული ბავშვების მამა, მოკლებულია საკუთარ თანაშემწეს. იგი მარტოა, განსაკუთრებით საშინაო, აღმზრდელობით, მატერიალურ და სხვა საქმეებში. მარტოხელა დედა, ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერ შეცვლის მამას და ვერ მისცემს შვილებს იმას, რისი მიცემაც მხოლოდ მამას შეუძლია. ქმრის გრძნობებსა და სითბოს მოკლებული სამაგიეროს ძებნას ბავშვებში, და რაც უფრო სახიფათოა, თუ მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს, ბავშვში დაიწყებს.

ადამიანი, ურთიერთობის არსება. ბიბლია ადამიანის შექმნაზე საუბრისას მიმართავს ასეთ სიტყვებს, “არაა კარგი, რომ ადამიანი იყოს მარტო”. ეს ერთგვარად ღმრთის მსჯელობაა შექმნილ ადამიანზე. ღმერთი ქმნის ცოცხალ არსებებს, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ უწევს ადამიანს დახმარებას. შეიქმნა ქალი და მამაკაცი და ადამიანი მასში პოულობს ახლობელს, ძალზე ახლობელს. მასთან ერთად არის (აქ მივმართავ ფორმულირებას, რომელიც უმჯობესია, არ გაიმეოროთ) “ადამიანის სისავსე”. ამ წუთიდან ისინი ერთმანეთს სჭირდებიან. ღმერთმა ადამიანი შექმნა როგორც ურთიერთობის არსება, რომელიც სრულდება, ვითარდება, მწიფდება მეორე ადამიანთან ურთიერთობაში შესვლით. ადამიანი საზოგადო არსებაა, და ის მცირე საზოგადოება, შეიძლება ითქვას, ძირითადი საზოგადოება, სწორედაც რომ ოჯახია, რომელშიცაა მამა, დედა და ბავშვები. ცოლქმრობა არის ურთიერთობაში შესვლის განსაკუთრებული ადგილი. თუკი არ არის ეს “რელაციურობა” (ურთიერთობა), თავს იჩენს მარტოხელა ადამიანის ტანჯვის გარკვეული მდგომარეობა. ტყუილად არ ვლაპარაკობთ “მარტოხელა დედებზე”, – ქალი, რომელიც მარტო ზრდის ბავშვს განიცდის მარტოობის მდგომარეობას, არსებობს პრობლემები, რომელთაც ვერ უზიარებს სხვებს. ურთიერთობა, რომელიც არსებობს დედასა და ბავშვებს შორის არის, და უნდა იყოს კიდეც, სხვაგვარი, ვიდრე ცოლსა და ქმარს შორის წარმოქმნილი ურთიერთობა.

ურთიერთმიძღვნისა და ურთიერთშეწირვის გამოცდილება. ცოლქმრობა არის ის ადგილი, რომელშიც შეიძლება საკუთარი თავის მიძღვნა, და ცოლქმრობაც ვერ იარსებებს ამ ურთიერთმიძღვნის გარეშე. ესაა ადგილი, სადაც ერთი მხარე მეორისაგან იღებს ამ ძღვენს. ცოლ-ქმარნი არიან ისინი, ვინც განუწყვეტლივ აძლევენ და იღებენ ერთმანეთისგან. ამაში გამოიხატება ცოლ-ქმრის სულ უფრო ზრდასრული სიყვარული. შვილები არიან ამ სიყვარულის მოწმენი და ისინი, ვინც იღებენ ამ სიყვარულს და რამდენადაც სრულად მიიღებენ მას, იმდენად შეეძლებათ მომავალში მისი გაცემა. ეს გონივრული ძღვენი ასწავლის. ცოლქმრობაში ცოლი ელის ქმრისაგან ძღვენს, ქმარი კი – ცოლისაგან და არა შვილებისაგან. ამაოდ არ ამბობს წმიდა პავლე ერთ თავის წერილში, რომ მშობლები უგროვებენ საუნჯეს შვილებს და არა შვილები – მშობლებს. ცოლ-ქმარს შორის კარგი, სრული ურთიერთმიძღვნის ურთიერთობა იცავს მათ შვილზე დასაკუთრების მცდელობისაგან, თითქოს იგი მათი ცხოვრების რეალიზაცია ყოფილიყოს და ემსახურებოდეს რამე მათი ჩანაფიქრისა თუ გეგმის განხორციელებას. მარტოხელა დედას (და მასაც ვინც ფორმალურ კავშირში

ცხოვრობს) უფრო იოლად ემუქრება ბავშვზე დაპატრონების, საკუთარ წადილთა დაკმაყოფილების საგანად მისი გამოყენების საშიშროება. იგი ვერ მიიღებს მას, როგორც პიროვნებას, ვისაც თავად ემსახურება და რომელსაც უძღვნის საკუთარ ცხოვრებას, რომელსაც საშუალებას აძლევს გაიზარდოს, მიიღოს გადაწყვეტილებანი, როგორ ადამიანმა, ვისაც ასწავლეს სხვისთვის ცხოვრება.

მამა იეჟი პილუსი
თარგმნა აკაკი ჭელიძემ

ინფორმაცია

პირველი საერთაშორისო

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის („საბა“) პროფესორთა და თანამშრომელთა დიდი ძალისხმევითა და ინიციატივით მეტად საინტერესო და სასარგებლო წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. 17-18 მაისს თბილისსა და წეროვანში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი რელიგიათმცოდნეობაში. ეს იყო საქართველოს ისტორიაში რელიგიათმცოდნეობაში სიმპოზიუმის ჩატარების პირველი პრეცენდენტი და მეტად სასარგებლო ქართული რელიგიათმცოდნეობითი სწავლების განვითარებისათვის. სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს წამყვანი რელიგიათმცოდნეები და, ასევე, უცხოელი სპეციალისტები. აღსანიშნავია, რომ გამოჩენილ მეცნიერთა გვერდით, მომხსენებელი იყო ინსტიტუტ „საბას“ სამი სტუდენტიც.

სიმპოზიუმი საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში. სიმპოზიუმის მონაწილეებსა და მრავალრიცხოვან სტუმრებს მიესალმნენ პარლამენტარი გიგი წერეთელი, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ზაზა აბაშიძე, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რელიგიათმცოდნეობის პროფესორი თეიმურაზ ფანჯიკიძე, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი მერაბ ღაღანიძე, ინსტიტუტის სტუდენტი დავით ჭიკაიძე.

საერთაშორისო სიმპოზიუმზე პირველი მოხსენება წაიკითხა წმიდა საყდრის დესპანმა საქართველოში, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ. მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის მიერ წარმოდგენილი მოხსენება იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ მომდევნო დღეს სიმპოზიუმის თითქმის ყველა გამომსვლელი იმოწმებდა მის ცალკეულ ციტატებს.

მთავარეპისკოპოსის მოხსენების შემდეგ მოეწყო პაპის ბიბლიის ინსტიტუტის ეგზეგეტის, ცნობილი ბიბლეისტისა და, ამავე დროს, ინსტიტუტ „საბას“ რექტორის, მამა პიერ დიუმულენის მიერ ახლახან მოსკოვში გამოცემული წიგნების პრეზენტაცია. დარბაზში, ამას გარდა, წარმოდგენილი იყო ინსტიტუტის მიერ ოთხი წლის განმავლობაში გამოცემული პოპულარული, თეოლოგიური, და სამეცნიერო წიგნები, ასევე, სტუდენტთა სახელმძღვანელოები.

18 მაისს საერთაშორისო სიმპოზიუმის პლენარული მუშაობა წეროვანის სულიერებისა და კულტურის ცენტრში გაგრძელდა. მის მუშაობაში თხუთმეტმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაც მეტად აქტუალური ნაშრომები წარმოადგინეს. თემატიკა მეტად მრავალფეროვანი გახლდათ: რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირიდან დაწყებული ბიბლიის ქართული თარგმანებით დამთავრებული.

ქართველ მეცნიერებთან ერთად, პლენარულ სხდომაში მონაწილეობას იღებდნენ საფრანგეთის, იტალიის, დანიის წარმომადგენლებიც. მკაცრად განსაზღვრული რეგლამენტის მიუხედავად, ყოველ მოხსენებას მრავალრიცხოვანი კითხვები და აზრთა გაზიარება მოსდევდა. საქმიანი საუბარი შესვენების დროსაც გაგრძელდა.

საერთაშორისო სიმპოზიუმი მრგვალი მაგიდით დასრულდა, რომლის დროსაც შეჯამდა რელიგიათმცოდნეთა ფორუმის მუშაობა და ერთხმად გადაწყდა, 2007 წლის გაზაფხულზე კვლავ ჩატარდეს მორიგი საერთაშორისო შეხვედრა, თუმცა გამოითქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, თუ მოხერხდება სიმპოზიუმებს შორის მეცნიერ-ჰუმანიტართა რეგიონალურ სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, დაფუძნდეს რელიგიათმცოდნეთა პროფესიული გაერთიანება (კავშირი). ამ მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის რელიგიათმცოდნეები. ასევე, გადაწყდა საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებები გამოიცეს ცალკე კრებულად.

ასე რომ, რელიგიათმცოდნეთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი დასრულდა და დაიწყო მზადება მეორე თავყრილობისათვის.

მაშ, ასე, მომავალ შეხვედრამდე წეროვანში!

ნუგზარ ბარდაველიძე

კათოლიკური თემატიკა კვლავ აქტუალურია

მიმდინარე წლის მაისში ამერიკის შესწავლის ცენტრისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ინიციატივით უკვე მერვედ ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც ამერიკისა და საქართველოს 200-მდე მეცნიერი იღებდა მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციაში უკვე მეოთხედ მიიღეს მონაწილეობა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ წელს ტრადიცია დაირღვა და პროფესორ-მასწავლებელბთან ერთად ინსტიტუტის სტუდენტმა, გიორგი აბულაშვილმაც, წარადგინა თავისი ნაშრომი, რომელმაც მოწონება დაიმსახურა და რეკომენდაცია მიეცა, დაიბეჭდოს აშშ-ის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო შრომათა კრებულში (რომელიც აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით გამოიცემა). კრებულში, ასევე, გამოქვეყნდება ინსტიტუტ „საბას“ პედაგოგის, ნუგზარ ბარდაველიძის, სტატიაც – „კათოლიკე ეკლესია ამერიკის შეერთებულ შტატებში“. გასულ წელს ამავე ავტორის გამოკვლევა, რომელიც „ჯორჯია-საქართველოს“ კათოლიკური ეკლესიების თანამშრომლობას ეძღვნებოდა, ასევე, მოწონებულ ნაშრომთა შორის აღმოჩნდა.

მანანა ბაქრაძე
ნინო ტურაბელიძე

საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ, უფალო!

ნინო გიქოშვილი-აღლემაშვილისა

* 1932 წლის 3. 10. სოფელი ივლიტა
+ 2006 წლის 28. 04 სოფელი უდე

სარჩევი

რედაქციის გვერდი
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში
კათოლიკე ეკლესია საქართველოში
თეოლოგის გვერდი
სოციალური პრობლემები
ინფორმაცია
ახალგაზრდული გვერდი
საყმაწვილო გვერდი

საგანგებო ჩანართი:
ევოლუციის მოძღვრება და ეკლესია

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2006

(რუბრიკა) **საყმაწვილო გვერდი**

„სიცოცხლე საჩუქარია: მიიღე!“,

ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით INER-ცენტრმა, საგანგებოდ ბავშვებისათვის, მოაწყო კონკურსი თემაზე: „სიცოცხლე საჩუქარია: მიიღე!“, რომელშიც მრავალმა პატარამ მიიღო მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა კათოლიკური საკრებულოებიდან.

გთავაზობთ არალის საკრებულოს ყმაწვილების – და-ძმა მარიამ და ცოტნე შარიების ლექსებს:

სიცოცხლეს

უფალმა შექმნა ლამაზი სამყარო,

ყველა, ვინცა ვართ მშვენების მნახველი,
გვინდა ერთმანეთს ყოველდღე ვახაროთ:
„ქებული იყოს იესოს სახელი!“.

ჩვილი ყმაწვილი საამოდ ტიტინებს,
მას იავნანას უმღერის მშობელი,
მერე კი მშვიდად, უნაღვლოდ იძინებს,
თავის სიზმარში ანგელოზს მოელის.

ხის რტოებზე დაბერილან კვირტები,
დასკდებიან მალე მრავალ ფერებად
და ყველანი იმის მომსწრე ვიქნებით,
გაზაფხული როგორ მოგვეფერება.

ცა-ფირუზი, მიწა – ზურმუხტოვანი,
ვაკის მაღლა ბუმბერაზი მთებია,
აქ სიცოცხლე, ბავშვია თუ მხცოვანი
განურჩევლად ყველას შეჰყვარებია.

უფალმა შექმნა ლამაზი სამყარო,
ყველა, ვინცა ვართ მშვენების მნახველი,
გვინდა ერთმანეთს ყოველდღე ვახაროთ:
„ქებული იყოს იესოს სახელი!“.

ცოტნე შარია
VI კლასის მოსწავლე

სიცოცხლე

მთაზე ცელქი ნაკადული,
მინდორ-ველი ჩაგარგული,
ეს მშვენება, სილამაზე გვახარებს!
ამ თვალების ბრწყინვა ჩვენი
არემარეს როგორ შვენის,
მაღლა ციდან მზეც გვიღიმის პატარებს.

ბედნიერი იყოს დედა
ირგვლივ ყველა ვისაც ვხედავთ,
მომღიმარი სახეებით იარონ...
შემოსულა გაზაფხული,
მეც სიცოცხლის სიყვარული
მთელ ქვეყანას მინდა გავუზიარო.

თუკი შენი გიყვარს მტერიც,
ნიშანია სიძლიერის,
არ ეგების ცოდვილს თუ არ მიხედე,
ბევრი უნდა გავისარჯოთ,
ბოროტმა არ გაიმარჯვოს
და ვაკეთოთ ქვეყნად მხოლოდ სიკეთე.

გუნებაზე ვარ სიმღერის,
ეს სამყარო მშვენიერი
ჩვენთვის არის საჩუქარი ღვთიური,
ყველამ უნდა ლოცვით, რწმენით,
სიყვარულით განვვლოთ დღენი
და სიცოცხლე ვპოვოთ მარადიული.

მარიამ შარია
V კლასის მოსწავლე

ჯერმანო, მოძღვარი თოლია

ოდესღაც ცხოვრობდა (იგი დღესაც ცხოვრობს!) თოლია, სახელად ჯერმანო. ჯერმანო ყველასაგან გამორჩეულია: იგი მოძღვარი თოლიაა და ამიტომაც თავის თემში ფრიად დაფასებულია.

სკოლის პირველი დღე ერთობ გამორჩეული გახლდათ: ჯერმანო თავისი სამოძღვრო მოღვაწეობის მეათე წლისთავს ზეიმობდა. ამის გამო დღე ოდნავ მღელვარებასაც მოასწავებდა და თან ადვილი არ იქნებოდა გაკვეთილის ჩატარება პატარა თოლიებთან! როდესაც ყველანი მწკრივში ჩადგნენ, ჯერმანომ შენიშნა, რომ სახეზე ყველას ეტყობოდა უკმაყოფილება ფრენის გაკვეთილის დაწყების გამო. ზოგი შეშინებულიც ჩანდა და ცდილობდა, თავისი სიმხდალე დაემალა. ფრენა, – თანაც კარგად ფრენა, გონივრულად და ლაღად, – ადვილი როდი იყო. ქარი საკმაოდ ქროდა, მაგრამ მოახლოებული შავი ღრუბლების დანახვაზე ჯერმანომ ისინი გააფრთხილა:

– ჩემო ძვირფასებო, ეს პირველი გაკვეთილი ადვილი არ იქნება; გაბედულება და სიბრძნე უნდა გამოიჩინოთ და ასე შეხვდეთ თქვენი ცხოვრების პირველ ქარიშხალს!

პირველ რიგში მდგომმა პატარა თოლიამ წამოიძახა:

– მე მზად ვარ, არ მეშინია!

– მომწონს, ასეთი თამამი რომ ხარ, მაგრამ ამას მაშინ დავინახავთ, თუკი შენი ნიჭის გამოყენებას გამჭრიახობით და განსწავლულობით შეძლებ!

თამამმა თოლიამ ფრთები შემოკრა და ჯერმანოს შენიშვნაზე პასუხის ნიშნად განაწყენებულმა თავი ზემოთ ასწია, რაც ჩიტების ენაზე ნიშნავს: გგონია არ ვიცი, რას ვაკეთებ?

ყველა გაშეშდა და ჯერმანოს გახედეს: რას უზამდა მასწავლებელი ამ ურჩს?

ჯერმანომ კარგად იცოდა, რომ დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ ამ პატარას გაკვეთილი მიეღო, თანაც დროულად!

ამ დროს ერთი ახალომოსული პატარა თოლია ჯგუფს მიუახლოვდა ფეხის თრევით. თამამმა თოლიამ დაცინვით უთხრა მას: ასე ცალფეხა რას აკეთებ ჩვენს სკოლაში?

– გაჩუმდი! – გაცხარდა ნაცრისფერი თოლია.

– სკოლაში, რასაკვირველია, ყველა სასწავლებლად ვართ; პირველ გაკვეთილზე ჩვენ ერთმანეთი უნდა მივიღოთ, თითოეული თავისი გამორჩეულობით! – თქვა ჯერმანომ. ამასობაში ცა სწრაფად მოიქუფრა. ახალმოსული ჯგუფს მიუბრუნდა და თბილად მიმართა ყველას: გამარჯობა, მასწავლებელო, სალამი, ყმაწვილებო, ბოდიში დაგვიანებისათვის...

– გახსოვდეს, პატარავ, ცხოვრებაში ყოველთვის ყველგან დროზე უნდა გამოცხადდე, იყავი ზუსტი და გულისხმიერი და თავად ცხოვრება დაგაჯილდოებს

თავისი ხელგაშლილობით და გაგიმჟღავნებს თავის საიდუმლოებებს! – დაამატა ჯერმანომ.

თოლიებმა, კმაყოფილების ნიშნად, თავები მარცხენა ფრთის ქვეშ ჩამალეს. მხოლოდ თამამი თოლია დარჩა ოდნავ გულდაწყვეტილი, მაგრამ არ შეიმჩნია.

ამასობაში ზღვა საშიშრად აღელდა. სულ მალე წვიმის მომასწავებელი ღრუბლები გამოჩნდა. რამდენიმე მოზრდილი თოლია ქვემოთ ფრენდა და მკივანი ხმით აუწყებდნენ მოსალოდნელს. ქარი ერთმანეთში ახვევდა ყველაფერს. ჯერმანოს შედარებით პატარა მოსწავლეები ოდნავ ცახცახებდნენ, ფრთებს აშრიალებდნენ, როცა მას უსმენდნენ:

– მეორე გაკვეთილი: როგორ მივაგნოთ თავშესაფარს, სანამ ქარიშხალში გავეხვეოდეთ! მიყურეთ და ასე მოიქეცით!

ყველა მასთან ერთად გაეშურა, მაგრამ ადვილი როდი იყო ქარის საპირისპიროდ ფრენა. ჯერმანომ დაინახა რომ ყველაზე პატარას რაღაც უჭირდა: ბუზღუნებდა და უკან იხევდა. ჯერმანომ გაიფიქრა, რომ მას უარესი ქარიშხალიც უნახავს, მაგრამ პატარებისათვის ეს კარგი გამოცდა იყო!

მოძღვარმა რამდენიმე რჩევა მისცა ჯგუფს და შემდეგ შეშინებულ პატარას მიუბრუნდა. მაგრამ სანამ მასთან მივიდოდა, შეამჩნია, რომ ცალფეხამ ძალზე ცუდი სტრატეგია აირჩია საფრენად. უსწრაფესად მის წინ გაჩნდა და გვერდით დაუდგა, რომ ფრენის გეზი გაესწორებინა, გამძლეობისაკენ და შიშის დაძლევისაკენ აქეზებდა მას:

– ნუ გეშინია, ჩემს უკან იფრინე! მე შენზე დიდი ვარ, გამომყევი, ფრთები გაშალე! რაც შეგიძლია, ზღვას გადაეფინე და ქარს შეეპუე!

პატარაც იმედიანად გაჰყვა მას.

მოძღვარმა ჯერმანომ ეჭვით და გაოცებით შეხედა ახალმოსულს; შემდეგ ჯგუფს შეავლო თვალი, რომელიც შეუპოვრად მიყვებოდა მის სწავლებას. მხოლოდ თამამი მოსწავლე წვალობდა ქარის საპირისპიროდ წასვლას, ფრენის არასწორ მოძრაობებს ასრულებდა და ხშირად მის გვერდით მფრინავ თოლიებს ეჯახებოდა. ჯერმანოს თავისი ბავშვობა გაახსენდა, როდესაც ეგონა, რომ ყველაფრის გაკეთება შეეძლო და არავის დახმარებას არ საჭიროებდა: რამდენი დრო გავიდა და რამდენი ხანი დასჭირდა, ვიდრე მოძღვარი თოლია გახდებოდა!

მალე ის თამამ თოლიას დაუდგა გვერდში და შეაგულიანა:

– წინ, შენ უნდა დაეპატრონო ქარს, არ დაანებო რომ თავის ნებაზე წაგიყვანოს! შენ ხარ შენი ფრენის, შენი ცხოვრების პატრონი! რაც ძალა გაქვს, გამოიყენე! თუკი სხვა ამხანაგებსაც მიაპყრობ ყურადღებას, მათ პატივს დაიმსახურებ და ბედნიერი იქნები, გახსოვდეს ეს!

მან მადლიერებით და თბილად შეხედა მოძღვარს და უკან გაყვა. შემდგომ ყველამ ერთად შეაფარა თავი პატარა ხიდის ქვეშ. ყველა მიუახლოვდა ცალფეხას და მას ფრენაში დაეხმარნენ. მაშინ თამამმა თოლიამ მოკლე კისერი ძირს დახარა და ცალფეხას მიმართა:

– შენ ბეჯითი და გაბედული ხარ, ბოდიშს გიხდი, თუკი ცუდად მოგექეცი!

ჯერმანომ გაშლილ ზღვას გახედა. ქარიშხალი საშინლად მძვინვარებდა, მაგრამ მისი მოწაფეები სამშვიდობოს იყვნენ გასულნი და, ამასთან ერთად, მათ უკვე ბევრი რამე შეისწავლეს.

ჯერმანო უფრო ძლიერად განიცდიდა თავს მოძღვრად, ცხოვრების მოძღვრად.

ევოლუციის მოძღვრება და ეკლესია

საგანგებო ჩანართი

ეკლესიის დამოკიდებულება ევოლუციის მოძღვრების მიმართ

იყო თუ არა ეკლესია ევოლუციის ყველაზე უფრო თავგამოდებული მოწინააღმდეგე, როგორც ეს ხალხურ წარმოდგენებშია გავრცელებული? ზოგიერთს შეიძლება ახსოვდეს იოანე პავლე II-ის ცნობილი მიმართვა წმიდა საყდრის მეცნიერებათა აკადემიისადმი, სადაც იგი აცხადებს, რომ "*ევოლუციის თეორია მეტია, ვიდრე ჰიპოთეზა*". ნიშნავს თუ არა ეს ცვლილებას ეკლესიის დამოკიდებულებაში ან დარვინის "*რეაბილიტაციას*"? სინამდვილეში კი პრობლემას იწვევს ცალკეული გაუგებრობანი და შეცდომები. ამიტომ საჭიროა კარგად გავერკვეთ მასში, რათა უფრო ნათლად გავაცნობიეროთ ეს საკითხი.

პირველი შეცდომაა ევოლუციონიზმისა და დარვინიზმის გაიგივება. ევოლუციის თეორია არის მოძღვრება, რომელიც აცხადებს ცოცხალ ორგანიზმთა პროგრესულ ტრანსფორმაციას (თანდათანობით გარდაქმნას); დარვინიზმი კი, ეს არის თეორია, რომელიც ცდილობს ახსნას ევოლუცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დარვინიზმი არის ერთ-ერთი ევოლუციონისტური თეორია და ევოლუცია მისით სულაც არ შემოიფარგლება. ასე რომ ეკლესიას თავისუფლად შეუძლია უარყოს ერთი (დარვინიზმი) და დაეთანხმოს მეორეს (თავად ევოლუციის პრინციპს).

მეორე შეცდომა: ევოლუციისა და კრეაციის (შექმნის) ურთიერთგამომრიცხავად წარმოჩენა. "ევოლუციონისტები" და "კრეაციონისტები", განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, უმოწყალო ბრძოლაში არიან ჩართულნი, ვინაიდან მათ მიაჩნიათ, რომ ეს ორი პრინციპი ერთმანეთთან შეუთავსებადი და ურთიერთგამომრიცხავია. ეს აბსურდია, რადგან ორივე გაგება მთლიანად შეთავსებადია. ევოლუცია თავისუფლად უკავშირდება კრეაციას. არსებანი, რომელთაც აქვთ ტრანსფორმაციის უნარი, ისევე როგორც უცვლელი არსებანი, საჭიროებენ მათი არსებობის აბსოლუტურ წყაროს. და ევოლუცია ოდნავადაც ვერ ამცირებს ღმრთაებრივ ჩანაფიქრს: ღმერთი, როგორც პირველმიზეზი, ბუნების კანონთა შემოქმედია (მეორე მიზეზი), რომელნიც (თავის მხრივ) იწვევენ ევოლუციას. ასე რომ, ევოლუციის საწინააღმდეგო ხედვა კრეაცია კი არა, ფიქსიზმია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანუ ტერმინთა უფრო დაზუსტებით, ევოლუციის მოწინააღმდეგენი ფიქსისტებად უნდა ჩაითვალონ: ეს იყო დომინანტური იდეა დარვინამდე – რომ ყოველი არსება შეიქმნა მისი არსებული ფორმით და მათ აღარ განუცდიათ რამე მნიშვნელოვანი ცვლილება. ევოლუციის კონცეპტი, მეორეს მხრივ, არც მიზანმიმართულობას გამორიცხავს, ეს პირიქითაა.

დაბოლოს, მესამე: თავიდან უნდა ავიცილოთ იმის ერთ დონეზე დაყენება, რაც მეცნიერებასა და ფილოსოფიას ეხება, და იმისიც, რაც თეოლოგიას. მეცნიერება ეძებს ბუნებრივ ფენომენთა ბუნებრივ ახსნას; ის უპასუხებს კითხვაზე: *"როგორ?"*, ხოლო ფილოსოფია აანალიზებს საგანთა არსს და მას აღელვებს *"რატომ?"*. ის ცდილობს ჩასწვდეს გამოცდილებით დაგროვებულ მონაცემთა აზრს. ხოლო თეოლოგია არის რაციონალური სწავლება რწმენისა და გაცხადებული ცნობიერების შესახებ. ასე მაგალითად, კრეაციონისტებს უსაყვედურებენ, რომ ისინი რწმენასა და მეცნიერებას ერთმანეთში ურევენ; მაგრამ, ამავდროულად, ბევრ დარვინისტს რელიგიასთან საბრძოლველად ხომ ევოლუციონიზმისაგან ათეისტური იდეოლოგია და სისტემა გამოჰყავთ? ისინი ასევე იყენებენ მეცნიერებას იდეოლოგიური მიზნებისათვის, შეიმუშავეს რა სამყაროს მატერიალისტური ხედვა, რომელსაც სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო მეცნიერულთან.

სიცოცხლე – შემთხვევითობის ნაყოფი?

ამ რამდენიმე განმარტების შემდგომ გაცილებით იოლია ეკლესიის პოზიციის აღქმა: მას არასოდეს დაუგმია არც შესაძლებლობა და არც თვით ევოლუციის პრინციპი; სამაგიეროდ, ის გმობს ევოლუციის იმ თეორიას, რომელიც ეწინააღმდეგება მის ფუნდამენტურ სწავლებას ადამიანსა და შექმნაზე.

პირველ რიგში, ის უკუაგდებს იმ მატერიალისტურ თეორიას, რომლის მიხედვითაც სიცოცხლის საწყისი მხოლოდ უბრალო შემთხვევითობაში უნდა ვეძიოთ, სწორედ ამიტომ გმობს ეკლესია უყოყმანოდ როგორც დარვინიზმს, ასევე ნეოდარვინიზმს. რაც შეეხება იოანე პავლე II-ის 1996 წლის 22 ოქტომბრის მიმართვას, მას სრულებით არ შეუცვლია მისი პოზიცია, რომელიც ნათლად და მკაფიოდ იყო გაცხადებული ჯერ კიდევ პიუს XII-ის მიერ Humani Generis-ში (1950). ასევე, იმავე მიმართვაში, იოანე პავლე II აცხადებს: *"სიმართლე რომ ითქვას, უფრო უპრიანი იქნებოდა გვესაუბრა არა ევოლუციის თეორიის, არამედ ევოლუციის თეორიათა შესახებ. ეს პლურალურიზმი მოიცავს, ერთი მხრივ, იმ ახსნათა განსხვავებულობას, რომელსაც ევოლუციის მექანიზმები გვთავაზობს და, მეორე მხრივ, სხვადასხვა ფილოსოფიებს, რომელთაც ის ეხება; არსებობს კიდევ მატერიალისტური და რედუქციონისტური გაგება, ასევე სპირიტუალური. აქ განსჯა სწორედაც რომ ფილოსოფიის კომპეტენციაა და მხოლოდ შემდგომ თეოლოგიისა. (...) ევოლუციის თეორიები, რომლებიც ემსახურება მის შთამაგონებელ ფილოსოფიებს, ხოლო სულს მიიჩნევენ ცოცხალი მატერიისაგან გამომდინარე ძალად, ან როგორც უბრალო ეპიფენომენს ამ მატერიისა, შეუთავსებელნი არიან ადამიანურ ჭეშმარიტებასთან. მათ არც იმის უნარი შესწევთ, პიროვნებას ღირსება დაიცვან".*

ბენედიქტე XVI კი აგრძელებს ამ თემას, როდესაც ამბობს: *"ჩვენ არა ვართ შემთხვევითობის ნაყოფი და მოკლებულნი ევოლუციის არსს. ყოველი ჩვენგანი არის უფლის ჩანაფიქრის ნაყოფი. თითოეული ჩვენგანი არის ღმრთისათვის სასურველი, საყვარელი და საჭირო".* ასევე: *„ათეიზმი აცდუნებს, როცა ამბობს, რომ მეცნიერულია იფიქრო, თითქოს ყველაფერი უმართავად და უწესრიგოდა მიედინება და ყოველივე შემთხვევითობის მსხვერპლია".*

შემთხვევითობაზე აპელირება, საბოლოო ჯამში, უბრალოდ პარადოქსულად ეღერს იმ თეორიებისათვის, რომელთაც პრეტენზია აქვთ „მეცნიერულობაზე". *„შემთხვევითობა ახსნის სრულ უქონლობას ნიშნავს",* აცხადებს ეტიენ ჟილსონი. პიერ-პოლ გრასე ამასთან დაკავშირებით დამატებით ამბობს: *„გააღმერთო შემთხვევითობა, დაეყრდნო მას ფენომენთა კომპლექსური განსაზღვრების მოსაძიებლად, ეს ნიშნავს აღიარო, რომ არ შეგწევს ანალიზის უნარი და იარაღი დაჰყარო".*

მეორე მხრივ, ეკლესიას არ შეუძლია დაეთანხმოს ევოლუციონისტურ თეორიებს, და არც სპირიტუალისტურს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მის სწავლებას შექმნის შესახებ ისე, როგორც ეს დაბადების წიგნშია წარმოდგენილი. ამ დროს ჩვენ არ უნდა დავუშვათ „ფუნდამენტალისტური" შეცდომა, ანუ დაბადების წიგნის პირველ საფეხურზე ისე წაკითვა, თითქოს ეს იყოს „სამეცნიერო" ტექსტი. თუმცა ასევე არ შეიძლება მისი შინაარსის ქვეტექსტური გაგება, რაკი ის სიმბოლურ ხასიათსაც ატარებს, როგორც ამას დღეს მრავალი აღიარებული თეოლოგი უეჭველად მიიჩნევს. დაბადება ჩვენ თავისებურად გვასწავლის რწმენის არსებით ჭეშმარიტებებს: ღმერთი ერთია და განუყოფელი, იგია სამყაროს შემოქმედი, უშუალო შემქმნელი ადამისა და ევასი, მათთვის სულის უშუალოდ შთამბერავი; პირველმა ცოდვამ მოიცვა ჩვენი პირველი წინაპრები და შემდგომ გადმოვიდა მთელს კაცობრიობაზე; ის უარყოფს პოლიგენიზმს, ანუ მტკიცებას, თითქოს ადამიანი დაიბადა ერთდროულად დედამიწის სხვადასხვა წერტილში (მეტიც, ეს ჰიპოთეზა შეუთავსებელია თანამედროვე გენეტიკასთანაც).

დაბადების წიგნი აბსოლუტურად არ გამორიცხავს ევოლუციის შესაძლებლობას. "*თითოეული არსების წარმოშობისა და განვითარების შესახებ კვლევა in natura ამ აღწერაში ვერ პოულობს რამე სავალდებულო ნორმას*", განმარტავდა იოანე პავლე II. და ბოლოს პაპი ასკვნიდა: "*შეიძლება ითქვას, რომ რწმენის მოძღვრების თვალსაზრისით სირთულეს არ წარმოადგენს ევოლუციის ჰიპოთეზის მიხედვით ავხსნათ ადამიანის, როგორც სხეულის, წარმოშობა. და მაინც უნდა დავამატოთ, რომ ჰიპოთეზა სხვას არას გვთავაზობს, თუ არა ვარაუდს და არა მეცნიერულ დასაბუთებას. რწმენის მოძღვრება კი საპირისპიროს აცხადებს, აბსოლუტური სიმტკიცით, რომ სული შეიქმნა უშუალოდ ღმრთის მიერ... და ის არ შეიძლება გამომდინარეობდეს მატერიიდან".*

წარსულში კონფლიქტები მეცნიერებასა და რწმენას შორის ყოველთვის მცდარ ინტერპრეტაციათა ნიადაგზე წარმოიქმნებოდა ხოლმე და ეს ყოველთვის არ იყო ეკლესიის ბრალი, რომელიც ზოგჯერ არსთა პირობითი ვერსიის გადაჭარბებულ აბსოლუტიზაციას ახდენდა. მეცნიერებას კი თავის მხრივ მისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია. ვინაიდან მისი ანალიზები ვითარდება და არცთუ იშვიათად მას აქვს პრეტენზია წარმოაჩინოს ჭეშმარიტებად ის, რაც ჯერ კიდევ დაუმტკიცებელია. ნებისმიერ შემთხვევაში, რწმენასა და მეცნიერებას შორის რეალური დაპირისპირება ვერ იქნება, რადგანაც: "*ერთი და იგივე ღმერთი, რომელიც ქმნის და განაპირობებს აღქმის უნარსა და ბუნებრივი წესრიგის კომპონენტთა სისწორეს, რომელთაც სწავლულნი ეყრდნობიან და სრული ნდობით ეკიდებიან, ეს არის იგივე ღმერთი, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგება როგორც მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი*" .

ევოლუცია, ფილოსოფია და მიზანმიმართულობა

ფილოსოფიური აზროვნება ორი მიმართულებით იჭრება ევოლუციის თეორიაში: ერთი მხრივ, ესაა აუცილებელი ეპისტემოლოგიურ/გნოსეოლოგიური სამუშაოს სახით, მეორეს მხრივ კი ბუნების პრინციპთა საერთო გამოცდილებაზე დაყრდნობით რაციონალური ცოდნის შემუშავების საშუალებით.

ფილოსოფოსი იაზრებს ექსპერიმენტულ მეცნიერებათა მეთოდს, მათ სფეროებს, იმ მტკიცებულებებსა და ვარაუდებს, რომელიც მათი მეშვეობით მიიღწევა, ანუ მათი კვლევის არეალს. ფილოსოფია ფხიზლად უნდა იყოს მეცნიერების არცთუ იშვიათ ტოტალიტარულ პრეტენზიათა წინაშე. ევოლუციის დოქტრინა და მისი *თეორია* წარმოშობის დღიდანვე იმადვე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დარგებში მიღებული შედეგები (პალეონტოლოგია, კლასიკური ბიოლოგია, გენეტიკა...) დღეს საშუალებას იძლევა განვაცხადოთ, რომ იგი "უფრო მეტია, ვიდრე ჰიპოთეზა" (იოანე პავლე II). უბრალო ჰიპოთეზა და აბსოლუტური მტკიცებულება კი ერთმანეთისაგან გვარიანადაა დაშორებული. მაშინ, როცა მიკროევოლუცია დადასტურებული ფაქტია, მაკროევოლუციაზე ამას ვერ ვიტყვით. დიდი ხანია ადამიანი იყენებს ვარიაციის უნარს გარემოს წიაღში გონიერი სელექციით – გარკვეულ მცენარეთა და ცხოველთა გაუმჯობესების მიზნით; მაგრამ შეუძლებელია ექსპერიმენტი ჩაატარო მაკროევოლუციაზე, ანუ აქციო ერთი ჯიშის არსება მეორე ჯიშის არსებად ევოლუციური გზით. საუბარია ინტერპრეტაციაზე, სცენარზე, რომლის გავრცელების არეალის მოცვაც სირთულეებს ქმნის. ოღონდაც! ნისკარტთა მთელი ვარიაციების მიუხედავად, გალაპაგოსელი ნიბლიები მაინც ნიბლიებად, ხოლო დროზოფილი (ძმრის ქინქლები), ლაბორატორიაში განხორციელებული ათასგვარი ფანტასტიკური მუტაციის შემდეგაც, მაინც კვლავ დროზოფილად დარჩნენ!

თუ დავუშვებთ ევოლუციურ პროცესს, როგორც მაღალი ალბათობის მქონეს, მაშინ გასააზრებელია მეორე მხარეც: რომელია ევოლუციის პრინციპები,

შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორები, რომლებიც იწვევენ ცოცხალ არსებათა ევოლუციას? არსებობს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე ევოლუციური თეორია, მიუხედავად იმისა, რომ ნეოდარვინიზმი პრეტენზიას აცხადებს ჰეგემონიაზე. ევოლუციონიზმი კარგად ვერ ეგუება მატერიალიზმსა და ათეიზმს! ბოლოდროინდელი პოლემიკა, სადაც ნეოდარვინისტები Intelligent Design-ის მომხრეებს დაუპირისპირდნენ, ნათლად ავლენს თეორიის შემუშავებისას, რომ ადგილი აქვს შედეგთა ვიწროდ მეცნიერულ ინტერპრეტაციას. კარგად უნდა გავაცნობიეროთ ერთი რამ: მთელი ევოლუციური თეორია იმდენადვეა ფილოსოფიური, რამდენადაც მეცნიერული, შეიძლება მეტადაც კი. პირველ რიგში კი დარვინიზმი და ნეოდარვინიზმი! მაგალითად, "შემთხვევით მუტაციათა" ცნება გამოკვეთილად ფილოსოფიურია (ცუდად ფილოსოფიური, ეს უკვე a priori). მეცნიერება სრულიად უფლებამოსილია ისაუბროს მუტაციებზე, ეს მისი სფეროა; მას შეუძლია მათი აღწერა, გენეტიკურ თუ გარემოებრივ ფაქტორთა ძიებით. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ეს ცვლილებები შემთხვევითია და რომ მათში არ არსებობს არავითარი მონახაზი, ეს უკვე მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება! ახლა კი ნეოდარვინისტებისა და იმ მეცნიერთა შესახებ, რომლებიც ევოლუციაში გონიერი მონახაზის არსებობას აცხადებენ, უნდა ვთქვათ, რომ ორივე თავიანთ ზღვრებს სცილდება.

თუკი მნიშვნელოვანია თითოეული დარგის სფეროს კარგად დელიმიტირება, არ უნდა დავივიწყოთ ცოდნის საფუძვლის ერთიანობა, დამყარებული *რეალობის ერთიანობაზე.* მეცნიერების მიერ შესწავლილ და გამოკვლეულ ორგანიზმთა შორის არ არსებობს ისეთი, რომელიც ღმერთს არ შეექმნას. სფეროთა ზედმეტად გამოწვლილვით დახარისხებამ შეიძლება შიზოფრენიამდე მიგვიყვანოს. ნორმალურია, რომ მეცნიერული *თეორია* შეიცავდეს ფილოსოფიური ინტერპრეტაციის განზომილებას. განსხვავებაა მეცნიერებას (რომელიც ამბობს: "როგორ") და ფილოსოფიას, ან კიდევ თეოლოგიას, შორის, რომელნიც მის არეალს აზრს აძლევენ. რატომ არ უნდა იყოს მატერიალურ სტრუქტურაში და თვით ცოცხალ არსებებში გონიერების ნიშანი? მაგალითად, რამე პროგრამის არსებობა? ჰიპოთეზა ნებისმიერ შემთხვევაში ნაყოფიერი შეიძლება აღმოჩნდეს და ასევე გამოადგეს მეცნიერებას, რომელიც რისკავს მოგუდოს საკუთარი თავი იმის აღიარების უარყოფით, რაც თვალწინ უდევს: სამყარო, რომელსაც არ გააჩნია გონიერი მიზეზი, იგივეა, რაც საწერ მანქანასთან მჯდომი მაიმუნი, რომელიც *რომეო და ჯულიეტას* თხზავს.

ნამდვილი პრობლემაა ის ფილოსოფიური ჩარჩო, რომელშიც მეცნიერი მის თეორიას შეიმუშავებს. ბუნების ჭეშმარიტი ფილოსოფია აუცილებელია, როდესაც საქმე ევოლუციას ეხება, რათა არ ჩავვარდეთ პრეისტორიულ მეცნიერულ ფანტასტიკაში; და ეს უნდა იყოს არა ზღვარდადებული ფილოსოფია, რათა საშუალება მოგვცეს ჩავწვდეთ მიზეზთა მრავალფეროვნების არსს და, განსაკუთრებით კი, მიზანმიმართულობას ბუნებრივ არსებებად ჩამოსაყალიბებლად.

მამა პიერ დიუმულენი